

2806 სხვაზ  
მუსიკაში

მასწავლითი წიგნი



## საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი „თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა,  
განათებული მთა-ბარი,  
წილნაყარია ღმერთთანა.  
თავისუფლება დღეს ჩვენი  
მომავალს უმღერს დიდებას,  
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის  
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,  
დიდება თავისუფლებას,  
თავისუფლებას დიდება.

ზუსტ ცხოვა  
მუსიკაში

მასწავლებლის წიგნი

IX კლასი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ  
(ბრძანება №375 18.05.2012 წ.)



„წყაროსთვალი“  
თბილისი, 2012 წელი

## **შემოქმედებითი ჯგუფი:**

ავტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი - **მაია ოთიაშვილი**

ავტორი - **ირინე მიქაელი**

ეთნომუსიკოსი - **მარინა ხუსენიშვილი**

Finale 2008-ის გაკვეთილები - **მიხეილ ვაწავა**

მუსიკალური რედაქტორი - **ლევან მიზანდარი**

ლიტერატურული რედაქტორი - **თამარ ფაჭალიშვილი**

მთავარი რედაქტორი - **ნანა ღვინიანიძე**

მხატვარ-დიზაინერი - **თინათინ მღებრიშვილი**

დაკაბადონება:

**ზაზა გელაშვილი**

**კახაპერ წურწუმია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

**მიხეილ ვაწავა**

**მარინა ჯავახიშვილი**

ფონოგრამების ავტორები:

**მიხეილ ვაწავა**

**ლევან მიზანდარი**

აუდიო რეჟისორები:

**მიხეილ ვაწავა**

**მიხეილ კილოსანიძე**

**„წყაროსთვალი“**



ტელ: 274 63 69; 227 30 73;

**5(99) 76 10 39; 5(99) 30 16 84**

ელ-ფოსტა: [tskarostvali@gmail.com](mailto:tskarostvali@gmail.com)

© „წყაროსთვალი“ 2012

© მაია ოთიაშვილი

ISBN 978-9941-9279-5-9

## ს ა რ ჩ ი ვ ი

ეროვნული სასწავლო გეგმა.....	5
შინაარსისა და მიზნების რუკა.....	14
აუდიო მასალის სია.....	15
შესავალი.....	19
დასაწყისი.....	20
მუსიკალური ტესტების პასუხები.....	20
მუსიკალური ტესტების პასუხები.....	21
Finale 2008.....	23
გიტარის გაკვეთილები.....	24
თანამედროვე სიმღერები.....	26
ი.ს.ბახი. „მათეს პასიონი“.....	27
ტომასო ჯოვანი ალბინონი .....	27
ვენის კლასიკოსები .....	28
კლასიციზმი .....	29
მუსიკალური რომანტიზმი.....	31
ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“ .....	34
კლოდ დებიუსის „ფავნის დასვენება ნაშუადლევს“.....	36
დიმიტრი შოსტაკოვიჩი.....	36
ქართული ხალხური მუსიკა.....	38
ქართული ქალაქური მუსიკა.....	40
სანოტო დანართი.....	55
დამატებითი სარეკომენდაციო რესურსების ნუსხა.....	97

## IX კლასი

### მუსიკა

#### სტანდარტი

#### წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
<b>მუს. IX.1.</b> მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.	<b>მუს. IX. 5.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განაალიზება.	<b>მუს. IX.8.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურული და სახეობრივი მხარეების დახასიათება.
<b>მუს. IX.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.	<b>მუს. IX. 6.</b> მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.	<b>მუს. IX.9.</b> მოსწავლე აცნობიერებს მუსიკის როლს საზოგადოების ცხოვრებაში.
<b>მუს. IX.3.</b> მოსწავლეს შეუძლია კომპოზიციების შექმნა მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.	<b>მუს. IX.7.</b> მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების განხილვა.	
<b>მუს. IX.4.</b> მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.		

#### წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

#### მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

##### მუს. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სიმღერით და დაკვრით უხამებს სხვადასხვა მელოდიურ ხმებს, რიტმულ ფიგურებს თანაკლასელის მიერ შესრულებულ რიტმულ ფიგურას, მარტივ აკორდულ თანმიმდევრობას;
- თანაკლასელებთან ერთად ქმნის მუსიკალურ-დრამატულ ეტიუდებს, კომპოზიციებს ხმის, ინსტრუმენტის, მოძრაობის საშუალებით.

##### მუს. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასრულებს ორხმიან და სამხმიან ქართულ ხალხურ და სხვა ხალხთა სიმღერებს;
- ასრულებს მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტებს / სიმღერებს და ეყრდნობა სანოტო ჩანაწერს.

## **მუს. IX. 3. მოსწავლეს შეუძლია კომპოზიციების შექმნა მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დასახული მიზნის შესაბამისად იყენებს კომპიუტერულ პროგრამებს (მუსიკის ჩაწერა, ფაქტურის, ტემბრის შერჩევა, აკორდული თანხლება);
- იყენებს თეორიულ ცოდნას (მუსიკის ანბანის, მუსიკალური ფორმის, ჰარმონიის საკითხები) კომპოზიციის შექმნის დროს;
- ქმნის მუსიკალურ კომპოზიციებს;
- მუსიკალურ კომპოზიციაში ასახავს მხატვრული ლიტერატურის, სახვითი და თეატრალური ხელოვნების ნიმუშებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს.

## **მუს. IX. 4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს პროექტის მიზანს;
- გეგმავს პროექტს და ანაწილებს ფუნქციებს;
- მოიძიებს თეორიულ მასალას, ქმნის რესურსს;
- მონაწილეობს კონცერტის, წარმოდგენის, ტელე/რადიო გადაცემის დადგმაში, ჟურნალის მომზადებაში;
- მონაწილეობს პროექტის წარდგენასა და შეფასებაში.

### **მიმართულება: კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია**

## **მუს.IX.5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე;
- ახასიათებს მუსიკალურ ნაწარმოებს ფორმის, ჟანრის, სტილის და მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების მიხედვით;
- საუბრის დროს იყენებს სახელოვნებო/ მუსიკალურ ტერმინოლოგიას;
- ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებებს მოსმენისას.

## **მუს.IX.6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს მისთვის საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს / შემსრულებელს / კომპოზიტორს;
- მოიძიებს და ამუშავებს ინფორმაციას მუსიკალური ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ;
- მოხსენების / სტატიის სახით წარმოადგენს მოძიებულ ინფორმაციას, საკუთარ შთაბეჭდილებას მუსიკალური ნაწარმოების, ამა თუ იმ მუსიკოსის შესახებ;
- მოიძიებს მუსიკალურ (აუდიო-ვიდეო) მასალას, საჭირო აპარატურას და იყენებს მას პრეზენტაციის დროს;

- წარმართავს დისკუსიას, სვამს და უპასუხებს კითხვებს;
- ავრცელებს მოძიებულ მასალას; ქმნის არქივს სხვებთან ერთად.

#### **მუს. IX.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების განხილვა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გაკვეთილზე შესრულებული შემოქმედებითი დავალების, საჯარო, სკოლის კონცერტის განხილვაში;
- წერს რეცენზიას საჯარო, სკოლის კონცერტზე;
- კორექტულია აზრის გამოთქმის დროს.

**მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**

#### **მუს. IX.8. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურული და სახეობრივი მხარეების დახასიათება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნასწავლ ნაწარმოებებს ადარებს ერთმანეთს – ჟანრი, სტილი, ეპოქა, ავტორი;
- ნაწარმოებების შედარების საფუძველზე განასხვავებს ავტორის ხელწერას;
- ადარებს სხვადასხვა შესრულებას და საუბრობს ”ინტერპრეტაციაზე”;
- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების სახეობრივ შინაარსზე (ლირიკული, დრამატული, ეპიკური, გმირულ-დრამატული, სკერცოზული, გროტესკული და ა.შ.);
- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების კომპოზიციურ აგებულებაზე;
- მსჯელობს ხალხური სიმღერის მახასიათებლებზე (დიალექტი, ჟანრი, თემატიკა, შემსრულებელთა შემადგენლობა).

#### **მუს. IX.9. მოსწავლე აცნობიერებს მუსიკის როლს საზოგადოების ცხოვრებაში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს სტილებს კულტურისა და ეპოქის მიხედვით;
- საუბრობს ხალხური მუსიკის სოციალურ დანიშნულებაზე (ყოფასთან კავშირი, კოლექტიური შემსრულებლობა, ზეპირი გადაცემის ტრადიცია, ანონიმურობა, მუდმივი ცვალებადობა);
- აცნობიერებს პროფესიული მუსიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ კომპონენტებს: კომპოზიტორი, შემსრულებელი, მსმენელი;
- მსჯელობს მუსიკის როლზე ხელოვნების სხვა დარგებში;
- ადარებს მუსიკასთან დაკავშირებულ ტრადიციულ და თანამედროვე პროფესიებს – პროდიუსერი, რეჟისორი, დიჯეი, ხმის ოპერატორი;
- ახასიათებს თანამედროვე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს და მათ ზეგავლენას მუსიკალურ ხელოვნებაზე;
- განმარტავს, როგორ შეუძლია გამოიყენოს მუსიკის შესწავლით მიღებული ცოდნა და უნარები სხვადასხვა პროფესიაში;
- იკვლევს მუსიკის გავრცელების/გადაცემის საშუალებებს (მომღერალთა ოჯახები, მგალობელთა სკოლები... სანოტო დამწერლობის სხვადასხვა სისტემები, მაგალითად, ქართული ნევმური დამწერლობა...) სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში;
- მსჯელობს საზოგადოების ცხოვრებაში მუსიკის როლის შესახებ კონკრეტული ნიმუშების მაგალითზე (ჰიმნის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის; დ. შოსტაკოვიჩის VII სიმფონია ლენინგრადის ბლოკადის დროს; „მარსელიეზა“ საფრანგეთის რევოლუციის დროს; „შავლეგო“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროს...).

## პროგრამის შინაარსი

### იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- ტექსტის შეცვლა, შერჩევა მელოდიისათვის;
- მუსიკის შერჩევა პოეტური ტექსტისათვის;
- ხმის შეწყობა.

### სიმღერა:

- კანონის ტიპის მელოდიების შესრულება გუნდში;
- სიმღერა თანხლებით და მის გარეშე;
- ორბმიანი და სამხმიანი სიმღერების შესრულება გუნდში;
- რეპერტუარის შერჩევა;
- გამომსახველობითი ხერხების შერჩევა;
- ორბმიანი და სამხმიანი სიმღერები ქართული და მსოფლიო ხალხური და პროფესიული რეპერტუარიდან, მაგალითად, “ასლანური მრავალუამიერი” (რაჭული), “ნანილა” (სვანური), “შენ ხარ ვენახი”, L. Guglielmi – “La Vie en Rose”, ფ. ლისტი - “Christus ist geboren” და ა. შ.

### მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები:

- Sibelius, Finale, Cubase, Logic;
- დავალებების შესრულება;
- კომპოზიციის შექმნა.

### მუსიკალური ნაწარმოებები:

- ფრაგმენტები სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ცნობილი ნაწარმოებებიდან;
- ქართული ხალხური და პროფესიული ნაწარმოებების მოსმენა, ამოცნობა.

### პროექტებში მონაწილეობა:

- პროექტის დაგეგმვა და ანალიზი;
- პროექტის მომზადება, წარდგენა.

### მუსიკის თეორია და ისტორია:

- ჟანრი, სტილი, ეპოქა;
- მხატვრული მუსიკალური მიმართულებების თვალსაჩინო წარმომადგენლები;
- მუსიკალური ნაწარმოების სახეობრივი შინაარსი (ლირიკული, დრამატული, ეპიკური, გმირულ-დრამატული, სკერცოზული, გროტესკული და ა.შ.);
- მუსიკალური ნაწარმოების კომპოზიცია: ინსტრუმენტული ფორმები (სამნაწილიანი, რონდო, ვარიაციები, სონატური, სუიტა, სონატურ-სიმფონიური ციკლი); ვოკალური ფორმები (კუპლეტური, გამჭოლი ფორმები).

### ხალხური მუსიკა:

- დიალექტი, ჟანრი, თემატიკა, შემსრულებელთა შემადგენლობა;

- ხალხური მუსიკის სოციალური დანიშნულება (ყოფასთან კავშირი, კოლექტიური შემსრულებლობა, ზეპირი გადაცემის ტრადიცია, ანონიმურობა, მუდმივი ცვალებადობა).

### **სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:**

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის, იმპრე-სიონიზმის, XX საუკუნისა და ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, „შემოქმედური ნადური”, გრძელი კახური მრავალური, რაჭული “მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი”, საგალობელი “წმიდაო ღმერთო” (ზ. ფალიაშვილის ვარიანტი), აფრიკული მრავალხმიანობის ნიმუში “Yangissa”/“Banga Banga”/“Bobangi”, ავსტრალიური ხალხური სიმღერა ”Mum’s Choice”; ბ. კვერნაძე - სიმღერები, კინომუსიკა, გ. ყანჩელი - ვოკალურ-სიმფონიური სუიტა “სტიქსი” (ფრაგმენტები); ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო კონცერტი #5, რ. შტრაუსი - სიმფონიური პოემა “დონ ჯოვანი” (ფრაგმენტები), ლ. ბეთჰოვენი - IX სიმფონია (ფრაგმენტები); პ. ჩაიკოვსკი – ფრაგმენტები ოპ. “პიკის ქალი”, გ. მალერი - V სიმფონია, IV ნაწილი - Adagietto; კ. ორფი - “კარმინა ბურანა” (ფრაგმენტები), ბ. ბარტოკი - მუსიკა სიმებიანების, დასარტყამი საკრავებისა და ჩელესტასთვის; დ. შოსტაკოვიჩი - სიმებიანი კვარტეტი #3, III ნაწილი, V სიმფონია, I ნაწილი; დ. ბრუბეკი - ჯაზური კომპოზიცია “Take Five”, G. Weiss-B. Thiele - ”What a Wonderful World”, J. Herman’s Show - ”Hello Dolly”, G. Gershvin - ”Porgy and Bess” (ფრაგმენტები), L. Weber “Super Star” (ფრაგმენტები), A. Cooper - School’s Out for this summer და სხვ.

### **შეფასება მუსიკაში**

#### **შეფასების კომპონენტები**

#### **საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები**

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- მუსიკალური ხელოვნების ნასწავლი ნიმუშების ცოდნა;
- მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი საკითხების ცოდნა;
- მუსიკალური დამწერლობის ცოდნა;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა;
- მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- შემოქმედებითობა;
- იმპროვიზაციულობა;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური სმენა;
- მუსიკალური მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- წარდგენის (პრეზენტაციის) უნარი;
- სოციალური უნარები;
- საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი;
- ტოლერანტობა.

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

#### **საშინაო დავალებები**

- მასალის მოძიება;
- რეფერატის მომზადება;

- რეცენზიის დაწერა;
- ტექსტის (ლიტერატურული და სანოტო) დასწავლა;
- დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და ა. შ.

## **საკლასო დავალებები**

- შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატულ კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
- კონცერტის, წარმოდგენის რეპეტიციებში მონაწილეობა;
- პროექტის მომზადება;
- მუსიკის მოსმენა და ამასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- საკუთარი და სხვისი შესრულების / შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
- მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
- სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
- საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
- სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობის გამოყენება და ა. შ.

## **შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი**

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შემონაბეჭდის ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამონმებდეს მუსიკის სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

## **შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:**

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- კონცერტი/ წარმოდგენა;
- ვიქტორინა;
- მოხსენება-რეფერატი;
- ლექცია-კონცერტი;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- გამოცდა;
- პროექტი.

მოსწავლის მიერ შესრულებული პროექტის სავარაუდო თემები:

თემატური წარმოდგენის/კონცერტის გამართვა; ტელეგადაცემის, რადიოგადაცემის, სპექტაკლის მომზადება; გაზეთის, უურნალის, სანოტო ალბომის მომზადება; კლიპის გადაღება სიმღერის, მუსიკალური ნაწარმოების ან სხვა თემაზე; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, რეჟისორის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა და ა. შ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

ნიმუში: მუსიკალური ნაწარმოების გაცნობა თანაკლასელებისთვის

მოამზადეთ პრეზენტაცია და გააცანით თქვენს თანაკლასელებს ინსტრუმენტული კონცერტის ნიმუში. ამისათვის:

1. მოიძიეთ, მოისმინეთ და შეარჩიეთ დასახელებული უანრის ის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც მოგწონათ;
2. თქვენი მიზანია შერჩეული მუსიკალური ნაწარმოების თანაკლასელებისთვის წარდგენა და მათი დამოკიდებულების გამოწვევა;
3. შეარჩიეთ და გააცანით თანაკლასელებს ის ფრაგმენტები, სადაც ძირითადი თემატური მასალა უღერს როგორც სოლო საკრავთან, ასევე ორკესტრის პარტიაში; ასევე ის მონაკვეთები, სადაც მუსიკალური მასალის განვითარება განსაკუთრებით საინტერესოდ გეჩვენებათ;
4. მოიძიეთ ფაქტობრივი მასალა შერჩეული ნაწარმოების შესახებ - ეპოქა, სტილი, კომპოზიტორი, ნაწარმოები (უანრი, სტილი, სოლო საკრავი, შემსრულებელთა შემადგენლობა), შემსრულებელი, დირიჟორი, შემსრულებელთა კოლექტივი, დარბაზი (სურვილის მიხედვით);
- ეცადეთ, ისე გადაანაწილოთ მუსიკალური და ვერბალური მასალა, რომ მოსწავლეების მხრიდან არ განელდეს ინტერესი. საჭიროებისამებრ გამოიყენეთ ვიზუალური მასალაც - ვიდეო ჩანაწერი, ფოტო, სანოტო ტექსტი;
- პრეზენტაციის დროს, როგორც მოსალოდნელია, შერჩეულ ნაწარმოებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დაწვრილებით ვერ განიხილავთ. ეცადეთ, თქვენს მეგობრებს მოკლედ გააცნოთ ნაწარმოებთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია. პრეზენტაციის მომზადებისას გაითვალისწინეთ მათი ინტერესები, ცოდნა; ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენი მეგობრების მხრიდან ნაწარმოების მიმართ ინტერესის გაღვიძებას და მის უკეთ აღქმას;
- მოემზადეთ პრეზენტაციის ბოლო ნაწილის - კითხვა-პასუხისათვის. წინასწარ განსაზღვრეთ სავარაუდო კითხვები და ჩამოაყალიბეთ პასუხები. არ მოერიდოთ პარალელების გავლებას. პასუხი, შესაძლებელია, მუსიკალური მასალითაც გასცეთ. აქ გამოვლინდება, რამდენად კარგად ფლობთ მასალას;
- ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად დაიხმარეთ ასისტენტი.

### **კრიტერიუმები**

1. მასალის ფლობა;
2. კომუნიკაცია;
3. საორგანიზაციო საკითხები;
4. შემოქმედებითობა.
1. მასალის ფლობა (ცოდნა და უნარები) 0-3
  - მოთხოვნის ადეკვატური მუსიკალური ნაწარმოების შერჩევა;
  - ძირითადი თემატური მასალის (მთავარი და დამხმარე თემები) ამსახველი მუსიკალური ფრაგმენტების შერჩევა;
  - მრავალფეროვანი ინფორმაციის წარდგენისას ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის წარმოდგენა;
  - კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა.
2. კომუნიკაცია 0-3
  - მუსიკალური ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენა;
  - მასალის აუდიტორიისთვის მისაწვდომი სახით წარდგენა და დაინტერესება;
  - ინფორმაციის წათლად, გასაგებად გადმოცემა;
  - კითხვებზე პასუხის გაცემისას დაზუსტება.
3. საორგანიზაციო საკითხები 0-1
  - ტექნიკური საკითხების მოგვარება.
4. შემოქმედებითობა 0-3
  - ნაწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაციიდან გადარჩევა და თანაკლასელებისთვის გაცნობა;
  - გამოსვლისას მასალის (აუდიო, ვიზუალური, ვერბალური) მონაცვლეობის დაგეგმვა;
  - ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

## **შეფასებათა სისტემა და ფორმები**

შეფასება სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია. ვიყენებთ 2 ტიპის შეფასებას — განმსაზღვრელსა და განმავითარებელს

1. განმსაზღვრელი შეფასება — განსაზღვრავს მოსწავლეთა სწავლის დონეს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. იგი შედეგზეა ორიენტირებული და აუცილებლად ქულებით ფადება. განმსაზღვრელი შეფასების დროს მასწავლებელი არ იძლევა განმარტებებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს შედეგების გასაუმჯობესებლად. ფასდება და ჯამდება სხვადასხვა აქტივობები: ტესტი, პრეზენტაცია, პროექტი, საკლასო სამუშაოები და სხვ.
2. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სწავლების პროცესში ფასდება მოსწავლის ამა თუ იმ სფეროში შესწავლა-დასწავლის დონე, საშინაო დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის წარდგენა და სხვ. მასწავლებელი მოსწავლეს აფასებს ისე, რომ ეს მოსწავლეს განვითარებასა და საკუთარი ცოდნის გაცნობიერებაში დაეხმაროს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ფორმა ქულებით არ ფასდება, რადგან იგი რჩევას, რეკომენდაციას, პრობლემათა გადაჭრის გზებზე მიუთითებს. განმავითარებელი შეფასებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება: დაკვირვება, კომენტარი და სხვ.

დაკვირვება — ჩანაწერი, კომენტარები მოსწავლეთა მიღწევების შესახებ — გამოიყენება სხვადასხვა ეტაპზე, იქნება ეს კითხვებზე პასუხი, საკლასო წერა, დაფასთან მუშაობა, თუ ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები და სხვ.

კომენტარი — ეს არის ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს კონკრეტული პასუხის და დავალების შესრულებისას. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ შექება, წახალისება, გამხნევება და რჩევა შეცდომის გამოსასწორებლად.

განმავითარებელი შეფასება საკუთრივ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებასაც (თანაკლასელთა მიერ ერთმანეთის შეფასება) მოიცავს. მოსწავლე თავად ადევნებს თვალს საკუთარ თავს, ობიექტურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და მიღებულ ცოდნას, რაც დამოუკიდებლად სწავლებასა და თვითკრიტიკული უნარის განვითარებაში ეხმარება. თვითშეფასების სხვადასხვა სქემა შეიძლება მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად შეიმუშავონ ყოველი გაკვეთილის, თემის თუ რომელიმე კონკრეტული შემთხვევისათვის.

## განმავითარებელი შეფასება, რეკომენდაციები IX კლასის მუსიკის სახელმძღვანელოსთვის

მასწავლებლის რესურსი: წიგნაკი, ან რვეული კომენტარების, შენიშვნებისა და რჩევები-სათვის

განმავითარებელი შეფასებისათვის მასწავლებელმა, სასურველია, ყოველ გაკვეთილზე აწარმოოს დაკვირვება თავის წიგნაკში- აღნიშნოს თითოეული მოსწავლის ცოდნის ხარისხი და დონე სხვადასხვა სფეროში; შეაფასოს, მისცეს შენიშვნები და რჩევები ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხში სიძნელეთა დაძლევისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ასე მაგალითად:

1. სიმღერის შესწავლისა და შესრულების დროს- როგორ ინტონირებს მოსწავლე, რამდენად ზუსტია ინტონირების ხარისხი, რიტმულობა, რამდენად სწორად გამოთქვამს სიტყვიერ ტექსტს, როგორია მისი მეხსიერება, პლასტიურობა, არტისტიზმი....ყველა ამ კომპონენტთან დაკავშირებით მასწავლებელი აკეთებსას კომენტარს შექების, წახალისების და ასევე ხარვეზების დაძლევის მიზნით, ჯგუფური მეცადინეობის დროს, ყურადღება ექცევა ანსამბლურობის შეგრძნებას და სინქრონს.
2. თემისათვის – „სოლფეჯიოს გაკვეთილები“ და „ფურცლიდან კითხვა“ – ყურადღება ექცევა სანოტო დამწერლობის ცოდნას, საგასაღებო ნიშნების, ნოტების სწორად წაკითხვასა და ჩანერას, გრძლიობებისა და პაუზების ცოდნას, ფურცლიდან კითხვის დროს სწორად ინტონირების, დირიჟორობის უნარებს და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე რომელიმე კომპონენტს ვერ ძლევს, მასწავლებელი დამატებით დამოუკიდებელ სამუშაოებს აძლევს
3. თემისთვის – მუსიკის ისტორიიდან – ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ეპოქაზე, სტილზე, ჟანრსა და ფორმაზე სწორ წარმოდგენას, კომპოზიტორთა ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის მნიშვნელოვანი თარიღების ცოდნას, მეტყველების დროს, მუსიკალური ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას, მუსიკის მოსმენისას – წაწარმოების ჟანრისა და ხასიათის განსაზღვრას, საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენას, სხვადასხვა საკრავის ულერადობის გარჩევას. შეუძლია თუ არა მოსწავლეს საკრავთა ჯგუფებად დაყოფა და მათი ვიზუალურად ცნობა, წარმოდგენილ ფოტოებზე კომპოზიტორთა ამოცნობა და ა.შ. ამა თუ იმ კომპონენტში ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საჭიროა დამატებითი სამუშაოს ჩატარება, (მაგ: დამატებითი მოსმენა და სხვ.).

განმავითარებელი შეფასებების შემდეგ, მასწავლებელი ეტაპობრივად ამოწმებს მოსწავლეთა მიერ დამატებით განეულ სამუშაოებს და აფასებს მათ ცოდნას. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოსწავლეები გამოასწორებენ ხარვეზებს.

## შინაგანსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფის დასახელება

დასაწყისი	აკადემიური საათი	მუს. IX.1. მოსწოდებულის შეუძლია იმპროფიტაციის პროცესი მომავლულობა.	მუს. IX.2. მოსწოდებულის შეუძლია სიჩქარა თანა- ლასელერან ერთად.	მუს. IX.3. მოსწოდებულის შეუძლია კატემზის და- შექმნა ტესტაციურ-კომიტეტური პროფესი- ანს გმირებრივით.	მუს. IX.4. მოსწოდებულის შეუძლია სასწავლი პრი- კლეში მომავლულობა.	მუს. IX.5. მოსწოდებულის შეუძლია მოსწოდილი ტუ- რალური ნინარების განახლიგება.	მუს. IX.6. მოსწოდებულის შეუძლია ააცილა თანა- ლასელებს მუსიკურური ხელოვნების ნიტეში ან მუსიკოსის შემოქმედება.	მუს. IX.7. მოსწოდებულის შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების განხილვა.	მუს. IX.8. მოსწოდებულის შეუძლია ტუსაკულური ნანარმიულის სტრუქტურული და სახეობრივი მხრივების დასასათვალი.	მუს. IX.9. მოსწოდებულის პრობლემურის შეუძლია რომა- საზოგადოების კონკრეტული მუსიკის როლს
უანა დარკის მონოლოგი, შემოქმედებითი ტესტი	1	X								
ი. ს. ბაზი. „მათეს პასიონი“. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X	X
მუსიკა კინოსა და თეატრში	1					X	X	X	X	X
გად ყანჩელი „ყვითელი ფოთლები“	1	X	X			X	X	X	X	X
ვენის კლასიკოსები	1					X	X		X	X
რევაზ ლალიძე „თოვლის ფიფქი“	1	X	X			X	X	X	X	X
ფრანც შუბერტი	1					X	X	X	X	X
ანტონინ დვორაკი	1					X	X	X	X	X
გუსტავ მალერი	1					X	X	X	X	X
იმერეთი	1	X	X	X		X	X	X	X	X
აჭარა	1	X	X	X		X	X	X	X	X
შაგძეთი	1	X	X	X		X	X	X	X	X
ღაზეთი	1	X	X	X		X	X	X	X	X
გურია. ფურცლიდან კითხვა	1	X	X	X		X	X	X	X	X
The Beatles Across The Universe	1	X	X			X	X	X	X	X
შექსპირი და მუსიკა. „რომეო და ჯულიეტა“	2					X	X	X	X	X
მაია ოთაძევილი „მარტოხელა ფიფქი“	1	X	X			X	X	X	X	X
იმპრესიონიზმი. კლოდ დებიუსი	1					X	X	X	X	X
გალატიონი „თოვლი“, შემოქმედებითი ტესტი	1	X						X	X	X
მორის რაველი	1	X				X	X	X	X	X
ჯაზი	1	X				X	X	X	X	X
ბლუზი და სპირიჩუელი	1	X	X	X				X	X	X
Dream little Dream of me	1	X	X				X	X	X	X
რეგთამი	1	X			X		X	X	X	X
ჯაზის მიმართულებები	1	X				X	X	X	X	X
ჯორჯ გერშეინი	1	X				X	X	X	X	X
Waht's a Wonderful World. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X	X
შენ ხარ ვენახი. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X	X
რევაზ ლალიძე სიმღერა თბილისზე. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X	X
ბელა ბარტოკი. ფურცლიდან კითხვა	1					X	X	X	X	X
ედუარდო დი კაპუა „o sole mio“	1	X	X			X	X	X	X	X
არჩილ კერესელიძე „ყელსაბამი“. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X	X
ბიძინა კვერნაძე „გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“	1	X	X			X	X	X	X	X
მიხეილ ზაქარეშვილი „მზეო თბაბათვისა“	1	X	X			X	X	X	X	X
დიმიტრი შოსტაკოვიჩი. VII სიმფონია	1					X	X	X	X	X
ნუგზარ ვანაძე. „მოლოდინი“	1	X	X			X	X	X	X	X
რიპარდ შტრაუსი	1					X	X	X	X	X
კარლ ორფი	1	X				X	X	X	X	X
გიორგი გორდეზიანი „საყვარელო ჩემო თბილის ქალაქი“	1	X	X			X	X	X	X	X
ენდრიუ ლოიდ უებერი I Don't Know to Love Him	1	X	X			X	X	X	X	X
Finale 2008	1		X	X		X	X	X	X	

# აუდიო მასალის სია

## დისკი I

1. ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“
2. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი — სიმფონია №9, რე მინორი, ფინალი
3. იოპან სებასტიან ბახი — „მათეს პასიონი“, პეტრეს არია. მ. ანდერსონის შესრულებით
4. გია ყანჩელი — სიმფონია №3
5. გია ყანჩელი — მუსიკა კინოფილმიდან „შერეკილები“, საფორტეპიანო ვარიანტი
6. იოზეფ ჰაიდნი — „სიურპრიზების სიმფონია“ №94, II ნაწილი, სოლ მაჟორი
7. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი — ოპერა „დონ უუანი“, დონ-უუანი და ცერლინას დუეტი, I მოქ.
8. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი — საფორტეპიანო კონცერტი №5, მი-ბემოლი მაჟორი, I ნაწილი
9. ფრანც შუბერტი — სიმფონია №8, სი მინორი, „დაუმთავრებელი“, I ნაწილი
10. ანტონინ დვორჟაკი — სიმფონია №9, რე მინორი, „ახალი სამყაროდან“, I ნაწილი
11. ანტონინ დვორჟაკი — სიმფონია №9, რე მინორი, „ახალი სამყაროდან“, II ნაწილი
12. გუსტავ მალერი — სიმფონია №5, IV ნაწილი
13. ფრანსისკო ტარეგა — პიესა გიტარისათვის
14. ჯაკომო პუჩინი — ოპერა „ტურანდოტი“, კალაფის არია, ლ. პავაროტის შესრულებით
15. სერგეი პროკოფიევი — ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“, რაინდთა ცეკვა, I მოქმ. II სურ.
16. ჰექტორ ბერლიოზი — „ფანტასტიკური სიმფონია“, „მეჯლისი“, II ნაწილი
17. კლოდ დებიუსი — „თოჯინების კეკუიოკი“ საფორტეპიანო ციკლიდან „საბავშვო კუთხე“
18. კლოდ დებიუსი — სიმფონიური პრელუდია „ფავნის დასვენება ნაშუადლევს“
19. კლოდ დებიუსი — საფორტეპიანო პრელუდია, „მთვარის შუქი“
20. მორის რაველი - საფორტეპიანო პრელუდია, „ნულის თამაში“
21. მორის რაველი - „ბოლერო“
22. იოპან სებასტიან ბახი — ქორალური პრელუდია, ჯაზური ინტერპრეტაცია ბობი მაკ-ფერენისა და „Jacques Loussier Trio“-ს შესრულებით
23. სპირიჩუელსი — „ლოცვა“, მაპალია ჯექსონის შესრულებით
24. ბილ ევანსი — ბლუზი
25. სკოტ ჯოპლინი — „რეგტაიმი“
26. რეი ჩარლზი — „Hit the Road Jack“, რეი ჩარლზისა და „Blues Brothers“-ის შესრულებით
27. დეივ ბრუბეკი — ჯაზური კომპოზიცია „Take Five“
28. ჯორჯ გერშვინი — ოპერა „პორგი და ბესი“, „Summertime“, ინსტრუმენტული ვერსია
29. ჯორჯ გერშვინი — „რაფსოდია ბლუზის სტილში“
30. სერგეი რახმანინოვი — „რაფსოდია პაგანინის თემაზე“
31. ბელა ბარტოკი — მუსიკა სიმებიანების, დასარტყამებისა და ჩელესტასათვის
32. რიხარდ შტრაუსი — „ასე ამბობდა ზარატუსტრა“

33. ლეონარდ ბერნსტაინი — მიუზიკლი „ვესტსაიდის ისტორია“, ამერიკა
34. დიმიტრი შოსტაკოვიჩი — სიმფონია №7, დო მაჟორი, I ნაწილი
35. ნუგზარ ვანაძე — მუსიკა კ/ფ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
36. რიხარდ შტრაუსი — სიმფონიური პოემა „დონ-კიხოტი“, II ვარიაცია
37. რიხარდ შტრაუსი — სიმფონიური პოემა „დონ-კიხოტი“, ფინალი
38. კარლ ორფი — „კარმინა ბურანა“, შესავალი
39. ენდრიო ლოიდ უებერი — როკ-ოპერა „სუპერსტარი“, ფინალი

### **ქართული ხალხური მუსიკა**

40. იმერული ცხენოსნური — ანსამბლი „შინი“
41. ხორუმი — ანსამბლი „სახიობა“
42. გელინო — ანსამბლი „მთიები“
43. ლაზური ნანა — ანსამბლი „მზეთამზე“
44. ალიფაშა — ანსამბლი „სახიობა“
45. ანზორ ერქომაიშვილი „თუ ასე ტურფა იყავი“ (სატრაფიალო) — (ჰამლეტ გონაშვილი)

## **დისკი II — „იმღერე თვითონ“**

1. თეილი და უეისი — „What a Wonderful World“ ლუი არმსტრონგის შესრულებით
2. ტილი, ვაისი, დუგლასი — „What a Wonderful World“ — „მინუს“ ფონოგრამა
3. გია ყანჩელი — „ყვითელი ფოთლები“ ნატო მეტონიძის შესრულებით
4. გია ყანჩელი — „ყვითელი ფოთლები“ — „მინუს“ ფონოგრამა
5. რევაზ ლალიძე — „თოვლის ფიფქი“ ნინელი ჭანკვეტაძისა და გია როინიშვილის შესრულებით
6. რევაზ ლალიძე — „თოვლის ფიფქი“ — „მინუს“ ფონოგრამა
7. ჯონ ლენონი და პოლ მაკარტნი — „Across The Universe“ — ანსამბლი „ბითლზი“
8. ჯონ ლენონი და პოლ მაკარტნი — „Across The Universe“ — „მინუს“ ფონოგრამა
9. მაია ოთიაშვილი — „მარტოხელა ფიფქი“ მაია ოთიაშვილის შესრულებით
10. მაია ოთიაშვილი — „მარტოხელა ფიფქი“ — „მინუს“ ფონოგრამა
11. ბილბარ შვენდტი, ფაბიან ენდრემი — „Dream A Little Dream of Me“ — ანსამბლი „Chicago“
12. ბილბარ შვენდტი, ფაბიან ენდრემი — „Dream A Little Dream of Me“ — „მინუს“ ფონოგრამა
13. რევაზ ლალიძე — „სიმღერა თბილისზე“ სოფო ხალვაშის შესრულებით
14. რევაზ ლალიძე — „სიმღერა თბილისზე“ — „მინუს“ ფონოგრამა
15. ედუარდო დი კაპუა — „O Sole Mio“ — ლუჩანო პავაროტის შესრულებით
16. ედუარდო დი კაპუა — „O Sole Mio“ — „მინუს“ ფონოგრამა
17. ბიძინა კვერნაძე — „გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“ მაია ოთიაშვილის შესრულებით
18. ბიძინა კვერნაძე — „გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“ „მინუს“ ფონოგრამა
19. რევაზ ლალიძე — „გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“ — ანსამბლი „ქართული ხმები“ (აკაპელა)
20. არჩილ კერესელიძე — „ყელსაბამი“ — ანსამბლი „ოროველა“
21. არჩილ კერესელიძე — „ყელსაბამი“ — „მინუს“ ფონოგრამა
22. მიხეილ ზაქარიაშვილი — „მზეო თიბათვისა“ ანი კაცაძის შესრულებით
23. მიხეილ ზაქარიაშვილი — „მზეო თიბათვისა“ — „მინუს“ ფონოგრამა
24. გიორგი გორდეზიანი — „საყვარელო ჩემო თბილის-ქალაქო“ ია ოთიაშვილის შესრულებით
25. გიორგი გორდეზიანი — „საყვარელო ჩემო თბილის-ქალაქო“ — „მინუს“ ფონოგრამა
26. ენდრიუ ლოიდ უებერი — მარია მაგდალინელის არია „I Don't Know How to Love Him“  
როკ-ოპერიდან „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავი“ („Jesus Christ Superstar“)
27. ენდრიუ ლოიდ უებერი — მარია მაგდალინელის არია „I Don't Know How to Love Him“ — „მინუს“ ფონოგრამა

### **ქართული ხალხური მუსიკა**

28. იმერული საოხუნჯო — შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი
29. ხერტლის ნადური — ანსამბლი „მზეთამზე“
30. თიორნი-ორიორამა — ანსამბლი „მთიები“
31. ლაზ-ხორუმი — ანსამბლი „ნანინა“
32. დილა — ურუშაძეების ანსამბლი
33. საგალობელი „შენ ხარ ვენახი“

### დისკი III — VII-VIII- IX კლასებისთვის



1. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი — რეკვიემი, „ლაკრიმოზა“
2. ჯუზეპე ვერდი — ოპერა „ტრავიატა“, სუფრული, I მოქმედება, ჯ. საზერლენდისა და ლ. პავაროტის შესრულებით
3. იოჰან სებასტიან ბახი — „იტალიური კონცერტი“, I ნაწილი
4. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი — ოპერა „დონ-ჟუანი“, დონ-ჟუანის არია, II მოქმედება საფორტეპიანო ვერსია
5. ლეოპოლდ მოცარტი — „იუმორესკა“, საფორტეპიანო ვერსია
6. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი — სავიოლინო კონცერტი, რე მაჟორი, I ნაწილი
7. ანტონინ დვორჟაკი — კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, III ნაწილი
8. ოთარ თაქთაქიშვილი — ოპერა „მინდია“, მინდიას არია. ზ. ანჯაფარიძის შესრულებით
9. პეტრე ჩაიკოვსკი — სიმფონია №4, ფამინორი, IV ნაწილი
10. ფერენც ლისტი — უნგრული რაფსოდია №2
11. იანის ქსენაკისი — „Metastasies“
12. რიჰარდ ვაგნერი — ოპერა „ტანკოიზერი“, უვერტიურა
13. რევაზ ლალიძე — „ინათებს მალე“. თამრიკო ჭოხონელიძის შესრულებით
14. რევაზ ლალიძე — „ინათებს მალე“, „მინუს“ ფონოგრამა
15. სოსო პავლიაშვილი — „სამშობლო“
16. სოსო პავლიაშვილი — „სამშობლო“, „მინუს“ ფონოგრამა
17. ბიზანტიური ინსტრუმენტული მუსიკა
18. შუა საუკუნეების ესპანური ინსტრუმენტული მუსიკა
19. სტინგი — „უდაბნოს ვარდი“. სტინგისა და ჩებ მამის შესრულებით
20. ბიონსე — „ავე მარია“
21. Non, Je ne regrette rien — ედიტ პიაფის შესრულებით
22. მერი დავითაშვილი — პოპური მულტფილმებიდან
23. ჯანსულ კახიძე — „მრავალუამიერი“
24. მარკ ანტუან შარპანტიე — „სამეფო მარში“
25. ალფრედ შნიტკე — „სუიტა ძველ სტილში“, მენუეტი
26. იოჰან სებასტიან ბახი — ტოკატა და ფუგა თანამედროვე ინტერპრეტაციით
27. ტომაზო ალბინონი — „adagio“
28. გია ყანჩელი — „ყვითელი ფოთლები“, საფორტეპიანო ვერსია
29. ნინო როტა — მუსიკა კინოფილმიდან „რომეო და ჯულიეტა“
30. ლევან მიზანდარი — „მოგონებები“ შერეული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრისათვის
31. ლევან მიზანდარი — „მოგონებები“ შერეული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, კომპიუტერული ვერსია
32. ნუგზარ ვანაძე — „მოლოდინი“. მერაბ სეფაშვილისა და მაია ბარათაშვილის შესრულებით
33. ნუგზარ ვანაძე — „მოლოდინი“, „მინუს“ ფონოგრამა
34. Sammy Cahn, Jule Styne — „Let It Snow“. დინ მარტინის შესრულებით
35. Sammy Cahn, Jule Styne — „Let It Snow“, „მინუს“ ფონოგრამა
36. ფრედი მერკური — „We are the champions“. ანსამბლი „ქუინი“-ს შესრულებით
37. ფრედი მერკური — „We are the champions“, „მინუს“ ფონოგრამა
38. ნანა გველესიანი — „ცისკარი“ სალომე მოდებაძის შესრულებით
39. ნანა გველესიანი — „ცისკარი“, „მინუს“ ფონოგრამა

**მითითება:** დისკი III-ზე მოცემულია მუსიკალური მასალა VII-VIII-IX კლასის  
სახელმძღვანელოების რუბრიკებისათვის: „მოიძიე ინტერნეტში“ და „სიმღერები კლასის  
კონცერტისათვის“.

## შესაფალი

მუსიკა უდიდესი და მარადიული ხელოვნებაა. მის გარემოცვაშია ადამიანი უძველესი დროიდან დღემდე. არსებობს სრულიად სხვადასხვაგვარი მუსიკა — ძველებური და თანამედროვე, „სერიოზული“ და „მსუბუქი“, პროფესიული და სამოყვარულო.

როგორ უნდა გავიკვლიოთ გზა ასეთ მრავალფეროვნებაში? როგორ განვასხვოთ ჭეშმარიტი მუსიკა სუროგატისგან? როგორ შევიგრძნოთ სერიოზული მუსიკის მნიშვნელობა, რომელიც თავდაპირველად, შესაძლოა, მოსაწყენი და უინტერესო მოგვეჩვენოს, სინამდვილეში კი შინაარსითა და აზრით — მშვენიერია. აქ ერთი რამ შეგვიძლია მხოლოდ გირჩიოთ: მეტი რამ გავიგოთ მუსიკალური ხელოვნების, მისი ისტორიის, მუსიკის ენისა და კანონების თავისებურებებზე. ამავე დროს, უნდა ვისმინოთ ბევრი გემოვნებიანი და სერიოზული მუსიკა. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ მუსიკას შეუძლია, „ადამიანი აიძულოს, უყვარდეს ან სძულდეს, აპატიოს ან მოკლას“. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, სანამ შეიქმნებოდა მუსიკის ცოცხალი ისტორია, იმ მუსიკისა, რომელსაც დღეს ვისმენთ და ვასრულებთ.

IX კლასის მუსიკის სახელმძღვანელო თავისი სტრუქტურითა და შინაარსით მრავალფეროვანი და კონტრასტულია. სახელმძღვანელოში მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშებია შერჩეული, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები, ფანტაზიები, სურვილები; წარმოდგენილია ქართული ხალხური მუსიკა; კლასიკური მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობა: ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, XX საუკუნის მუსიკა, თანამედროვე ქართული და უცხოური საესტრადო სიმღერები, ჯაზი, როკ-მუსიკა. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გამოჩენილ კომპოზიტორთა სხვადასხვა უანრის ნაწარმოებების მოსმენას და მათ შედარებას სხვა უანრის მუსიკალურ ნაწარმოებებთან. ეს გაკვეთილები შემეცნებითი ხასიათისაა. მოსწავლეები მოგზაურობენ სხვადასხვა დროში, უსმენენ განსხვავებულ მუსიკას, ეს ხელს უწყობს მათი თვალსაწიერის გაფართოვებასა და ცოდნის გაღრმავებას, უღვიძებს სურვილს, რაც შეიძლება მეტი შეიმეცნონ და უფრო მეტი გემოვნებიანი მუსიკა მოისმინონ. მოცემულია მრავალი რუბრიკა და სხვადასხვა აქტივობები. იმედი გვაქვს, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გემოვნებიანი მომავალი თაობის აღზრდას.

ვფიქრობთ, ეს სახელმძღვანელო მასწავლებლებს დაეხმარება უფრო სრულყოფილი და შემოქმედებითი გაკვეთილების ჩატარებაში.



## მითითებები და რეკომენდაციები გაკვეთილის ჩატარების ფორმებსა და სახეებზე

დაწყებით კლასებში (I-VI) მოცემულია გაკვეთილის ჩატარების კონკრეტული სქემა. გაკვეთილი დაყოფილია 5 ეტაპად:

- I მხიარული ნოტები
- II რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები
- III სიმღერის განმეორება
- IV ახალი სიმღერის შესწავლა
- V მუსიკალური განტვირთვა

თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეების ასაკსა და მაღალ კლასებში შესასწავლი მასალის სირთულეს, შეგვიძლია სხვადასხვა სახის გაკვეთილები ჩავატაროთ. ამ ეტაპზე მასწავლებელს მოეთხოვება მეტი შემოქმედებითობა და იმპროვიზაცია. მას შეუძლია დაეყრდნოს დაწყებით კლასებში მოცემულ გაკვეთილის ფორმას, მაგრამ, მაღალი კლასების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, დაარღვიოს ეს სქემა და შეიტანოს ახალი ნიუანსები: გაკვეთილზე მეტი ყურადღება დაეთმოს მუსიკის მოსმენასა და განტვირთვას (ავტორელაქსაცია), სიმღერის შესწავლას, შემოქმედებით ტესტებს. ელემენტარული თეორიის საკითხებს დაეთმოს 5-10 წუთი და მას ინფორმაციული ხასიათი ჰქონდეს: „სოლფეჯიოს გაკვეთილები“, „ფურცლიდან კითხვა“, „კვარტა-კვინტური წრე“, „გამების გამღერება“ და სხვ. ასე ბავშვებს საერთო წარმოდგენა შეექმნებათ ამ საკითხებზე.

მუსიკის გაკვეთილები, ზოგადად, ემსახურება განათლებული და კულტურული მსმენელის აღზრდას. ამიტომ გაკვეთილზე უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მუსიკის მოსმენასა და ინფორმაციას. კერძოდ, გაკვეთილზე თემატურ მასალას ვეცნობით, ვკითხულობთ და ვმსჯელობთ, ბავშვები გამოხატავენ თავიანთ აზრსა და დამოკიდებულებას. ამის შემდეგ, თითქმის ყველა გაკვეთილის ბოლოს, ვისმენთ მუსიკას შესაბამისი აქტივობების შესრულებით.

შეგვიძლია გაკვეთილი დავიწყოთ შესწავლილი სიმღერის გამეორებით ან თეორიული მასალის გახსენებით (კითხვების დასმით). მუსიკის გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია I-VI კლასებში შესწავლილი აქტივობების გამოყენება: „დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“, „მუსიკალური კარნასი“. VII-IX კლასების რუბრიკაში „ფურცლიდან კითხვა“ მრავლადაა სხვადასხვა ინტონაციური სავარჯიშო. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს ყველაზე ადვილი და მარტივი, გაახსენოს ბავშვებს ეს აქტივობა და კლასში შეასრულებინოს (იხ. V-VI კლასის მასწავლებლის წიგნში სცენარი – მუსიკალური კარნასი 1-2). აქვე გაიხსენებენ 2/4, 3/4 და 4/4 ზომებს და დირიჟორობას. აგრეთვე, გაკვეთილის 5-10 წუთი დაეთმოს „მუსიკალურ ვიქტორინას“ – მუსიკის მოსმენასა და გამოცნობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის გამეორებასა და განმტკიცებას. რაც შეეხება „შემოქმედებით ტესტებს“: ამ გაკვეთილებზე ბავშვები ჯერ კითხულობენ ლექსს, შემდეგ მასწავლებელი ასმენინებს მათ მუსიკას, რომლის ფონზეც ბავშვებმა უნდა წაიკითხონ ლექსი. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ამ აქტივობის შესრულება.

სასურველია არ დავტვირთოთ ბავშვები სხვადასხვა სახის საშინაო დავალებებით (ტექსტის შესწავლა-ჩაბარება, გამების გამღერება და მათი დიეზისა და ბემოლების დამახსოვრება). შევეცადოთ, რაც შეიძლება შევუმსუბუქოთ ბავშვებს გაკვეთილებზე მოცემული მასალის შესწავლა, მივაწოდოთ ინფორმაცია მსუბუქად და საინტერესოდ, რათა უფრო მეტად შევაყვაროთ ეს საგანი. ამის გამო, VII-IX კლასებში ზოგიერთი გაკვეთილის („კლასგარეშე“) შესწავლა არ არის სავალდებულო, თუმცა საგანი საათობრივი ბადიდან არ არის ამოღებული, რადგან ამ გაკვეთილებზე ბავშვები ისმენენ მუსიკას.

ზოგიერთი სიმღერა გამოირჩევა დიდი დიაპაზონით (მაგ. „ამაპოლა“), ასეთი სიმღერები განკუთვნილია სოლო შესრულებისთვის.

## დასაწევისი

**მიზანი:** შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა. მოსმენილი მუსიკალური მასალის ყოველდღიურობასთან დაკავშირება. ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და მუსიკალური ჟანრების ურთიერთდაკავშირება-შედარება. მუსიკის მოსმენისას საკუთარი განწყობისა და დამოკიდებულების გადმოცემა — ხატვა, პლასტიკა, ლიტერატურული ჩანახატი.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

პირველი გაკვეთილი ერთგვარი უვერტურაა მთელი სახელმძღვანელოსი. ის განაწყობს და ამზადებს მოსწავლეებს შემდგომი სასწავლო პროცესისათვის. ტექსტის გაცნობის შემდეგ, მასწავლებელი ასმენინებს მათ სამი სხვადასხვა ჟანრის და სტილის ნაწარმოებს: ბეთჰოვენის IX სიმფონიის ფინალს, ლუი არმსტრონგის - „What a Wonderfull World“-ს და ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნების შედევრს - „ჩაკრულოს“. სამივე ეს ნაწარმოები, მსოფლიო სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციებთან ერთად, კოსმოსში გააგზავნეს. მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ დავალებას, უსმენენ მუსიკას და მსჯელობენ. გარდა მოსწავლის წიგნში მოცემული შეკითხვებისა, მასწავლებელს შეუძლია ჰკითხოს მოსწავლეებს, კლასიკური, ჯაზური ან ხალხური მუსიკის რომელ ნიმუშებს იცნობენ, ჩამოთვალონ თავიანთი საყვარელი ნაწარმოებები, გამოთქვან თავიანთი აზრი და დამკიდებულება მუსიკალური ხელოვნების მიმართ. გაკვეთილს „დასაწყისი“ ეთმობა ერთი აკადემიური საათი. იგი არა მარტო მოსწავლეებს, არამედ მასწავლებელსაც ეხმარება შემდგომ საქმიანობაში.

**მითითება:** სახელმძღვანელო აგებულია კონტრასტის პრინციპზე. ესა თუ ის თემა ინტეგრირებულია თავის მონათესავე ინფორმაციებთან. ამაში მასწავლებელს ეხმარება რუბრიკები, რომლებიც მრავლადაა მოცემული სახელმძღვანელოში.



## მუსიკალური ტესტები

**მიზანი:** საკრავის გაცნობა. საკრავის ტემპრალურად და ვიზუალურად გაცნობა-შესწავლა. სხვადასხვა საკრავთა განსხვავებებისა და მსგავსების ამოცნობა. მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების ყოველდღიურობასთან დაკავშირება, შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**რუბრიკა – მუსიკალური ტესტები საკრავებზე.** მოცემულია 3 ტესტი კლასიკურ და ხალხურ საკრავებზე. თითოეულ ტესტში გამოსახულია საკრავების დაუმთავრებელი ფორმები. მოსწავლემ უნდა შესძლოს ამა თუ იმ საკრავის ვიზუალურად აღდგენა და მათი დასახელება. საკრავებს ვეცნობით I კლასიდან, ყოველწლიურად ვაგრძელებთ მათ შესწავლას. ვიხსენებთ განვლილ მასალასაც (ცოდნის განმტკიცება). ტესტები საკრავებზე — ერთგვარი გახსენება-განმეორებაა ადრე ნასწავლისა. აგრეთვე, ვეცნობით და ვასწავლით ახალ საკრავებს; მაგ. ინგლისური ქარახსა, ბანჯო, ჩელესტა, თეფშები; ელექტრო

გიტარა; სახელმძღვანელოს 85-ე გვ. ეთმობა საკრავების მთლიან ჩამონათვალს, რომელ-საც „საკრავების გამოფენაზე“ ჰქვია. ეს აქტივობა ერთხელ კიდევ ახსენებს მოსწავლეებს ნაცნობ საკრავებს. მასწავლებელს შეუძლია დაავალოს მოსწავლეებს, გაკვეთილის მსვლელობისას, მუსიკის ფონზე დახატონ მათთვის საყვარელი საკრავები. ასეთი დავალებები ძალიან მოსწონთ როგორც დაბალი კლასის მოსწავლეებს, ასევე, მოზრდილებსაც. ეს აქტივობები ეხმარება მათ — უფრო კარგად აღიქვან საკრავების ფორმა, ტემპი, მათი შესაძლებლობები, დაინტერესდნენ და თავად მოუნდეთ რომელიმე საკრავზე დაკვრა.




**სუროგატი** (ლათ. surrogatus სხვის ნაცვლად მოთავსებული) —

1. რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქტის მხოლოდ ზოგიერთი თვისება აქვს; 2 ყალბი, ფალსიფიცირებული რამ.

### ტესტების პასუხები


გამოიცანი და დაასახელე საკრავები

გვ. 21



1. კლარინეტი    2. ფლეიტა    3. საყვირი    4. ვალტორნა    5. ტრომბონი    6. ფაგოტი


გვ. 30



1. ჩონგური    2. ფანდური    3. ჭიანური    4. ჩანგი    5. დიპლიპიტო    6. სალამური    7. უენო სალამური

ჩართული ხალხური ჩასაპერი საკრავები, აღმოაჩინე შეცდომა

გვ. 33



1. ჭუნირი    2. დაირა    3. ლარჭემი    4. გუდასტვირი    5. სალამური    6. დოლი

## საკრავების გამოფენაზე




საქსოფონი

კორნეტი



საყვირი



პიყოლო — პატარა ფლეურია



ფლეური



კლასიკური გიტარა



ელექტროგიტარა



ვალტორნა



კონტრაბასი



ტუბა




დასარტყამი საკრავები

# Finale – 2008

**მიზანი:** ახალი, კომპიუტერული მუსიკალური პროგრამის, Finale-2008-ის, გაცნობა-შესწავლა. მარტივი კომპინაციებით სანოტო ჩანაწერის აკრეფა-აუდირება. ამ პროგრამის დახმარებით მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა, სხვადასხვა ინტერპრეტაციებთან შედარება. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. სხვისი შემოქმედებისადმი პატივისცემა. ცოდნის შეჯამება-შეფასება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო-დისკი




IX კლასის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, ვაგრძელებთ კომპიუტერული პროგრამა – Finale – 2008-ის შესწავლას, რომელიც VII-VIII კლასში დავიწყეთ. ეს პროგრამა ითვალისწინებს მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერისა და გახმოვანების შესწავლას კომპიუტერის მეშვეობით. მასალა მოწოდებულია თვალსაჩინოდ, მარტივად და გასაგები ენით. მისი გაცნობის შემდეგ, მოსწავლეს შეუძლია კომპიუტერში შეასრულოს ამა თუ იმ სიმღერის სანოტო ჩანაწერი, ააუდეროს ეს ჩანაწერი სხვადასხვა საკრავით ან, თუნდაც, მთელი ორკესტრის ხმოვანებით. ამ გაკვეთილებით, თანმიმდევრულად, შეიძლება მარტივი კომპინაციების შესწავლა. ამაში გვეხმარება კომპიუტერის ეკრანზე ვიზუალურად გამოტანილი ნახატები, სადაც ისრების დახმარებით ნაჩვენებია, თუ როგორ გაიხსნას ფაილი, შეირჩეს ნაწარმოები, კომპოზიტორი, საკრავი.

მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია გაკვეთილზე კომპიუტერთან მუშაობა, მთელ კლასთან ერთად გაეცნობა და შეისწავლის ამ მუსიკალურ პროგრამას. ხოლო ბავშვებს თავადაც შეუძლიათ, სახლში, ინდივიდუალურად შეისწავლონ იგი. ჩვენი მიზანია, დავაინტერესოთ მოსწავლე მუსიკალური პროგრამით, დანარჩენი კი შეუძლია, მომავალში უფრო კარგად შეისწავლოს. ეს პროგრამა დართულია მოსწავლის სახელმძღვანელოს ბოლოს, სანოტო მაგალითებთან ერთად. მასწავლებელს შეუძლია, დაავალოს მოსწავლეს, თვითონ ააწყოს ეს სიმღერები „ფინალში“ და ააუდეროს რომელიმე საკრავის ხმოვანებით.

მოსწავლეებს ვასმენინებთ ახალგაზრდა კომპოზიტორის, ლევან მიზანდარის საგუნდო ნაწარმოების, „მოგონებები“-ს ორ ვარიანტს. I ვარიანტი უდერს „ფინალის“ პროგრამაში, II — ბუნებრივად გუნდისა და სიმებიანი ორკესტრის შესრულებით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოისმინონ ორივე ვარიანტი, იმსჯელონ, გამოთქვან თავიანთი აზრი, შეხედულება და გაარკვიონ, რა განსხვავებაა ამ ორ შესრულებას შორის.

Finale-2008-ის გაკვეთილები მასწავლებელსაც დაეხმარება, აითვისოს ახალი მუსიკალური პროგრამა და აიმაღლოს პროფესიონალიზმი.



## გრძლივრებები

ბრევისი მთელი ნახევარი მეოთხედი

მერვედი მეთექვსმეტედი ოცდამეტორმეტედი

მეთექვსმეტედი მეთექვსმეტედი მეთექვსმეტედი

მეთექვსმეტედი მეთექვსმეტედი მეთექვსმეტედი

მეთექვსმეტედი მეთექვსმეტედი მეთექვსმეტედი

## გიტარის გაკვეთილები

**მიზანი:** საკრავის გაცნობა-შესწავლა. მარტივი აკორდებისა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება. მუსიკის ელემენტთარული თეორიის საკითხების განმეორება, ახლის გაცნობა-შესწავლა, შემოქმედებით პროცესში ჩართვა. მარტო და სხვებთან ერთად მარტივი სიმღერის უნარ-ჩვევების განვითარება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი

სახელმძღვანელოში მოცემულია რუბრიკა — გიტარის გაკვეთილებიც აქტივობებია, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, ინდივიდუალურად შეისწავლონ გიტარაზე დაკვრა, აითვისონ რამდენიმე საწყისი და ძირითადი აკორდი, დასაწყისისთვის თვითონ ააწყონ და აკომპანერებით გაუკეთონ თავიანთ საყვარელ სიმღერას. გიტარის გაკვეთილებზე არ შემოვიფარგლეთ მხოლოდ აკორდების შესწავლით. მოსწავლეებს ვაცნობთ გიტარის წარმოშობის ისტორიას (გაკვეთილი „ო, ეს გიტარა“), მის აგებულებას (კორპუსი, გრიფი, რომელზედაც გადაჭიმულია 6 სიმი). გრიფი დაყოფილია კილოებად ანუ ლადებად, როგორც მას უწოდებენ პრაქტიკაში), ვსწავლობთ გიტარის აწყობას.

გიტარის გაკვეთილებზე ვიხსენებთ მუსიკის თეორიის ელემენტარულ საკითხებს, ვიმეორებთ ტონალობებს: დიეზიან და ბემოლიან მაჟორებს და მათ პარალელურ სამივე სახის მინორს: ბუნებრივი, ჰარმონიული და მელოდიური. მასწავლებელს შეუძლია, ყოველ გაკვეთილზე სოლფეჯიოს საკითხებს დაუთმოს 5-10 წთ. გაიხსენონ წინა კლასში ნასწავლი მასალა და ვიოლინოს გასაღებში ნასწავლი ნოტები, ტონალობები, სამხმოვანებები. ერთად გაიმღერონ ესა თუ ის ტონალობა და სამხმოვანებები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს, სმენის, რიტმისა და მეხსიერების განვითარებაში. მეცხრე კლასში შეჯამებულია მთელი ის მუსიკალური მასალა, რომელიც მოსწავლეებმა შეისწავლეს წინა კლასებში. ამ მასალის გამეორება-გახსენებაში გვეხმარება რუბრიკა „ფურცლიდან კითხვა“, სადაც მოცემულია ინტონაციური სავარჯიშოები — ფრაგმენტები სხვადასხვა ქვეყნის ხალხური სიმღერებისა და კლასიკური ნაწარმოებებიდან.

## გიტარის აკორდები

დო მაჟორი C-dur



ფა მაჟორი F-dur



სოლ მაჟორი G-dur




რე მაჟორი D-dur



ლა მაჟორი A-dur




სი მაჟორი H-dur



რე მინორი d-moll



დო სეპტაკორდი C<sub>7</sub>



სოლ სეპტაკორდი G<sub>7</sub>




მი მაჟორი E-dur




ლა მინორი a-moll



მი მინორი e-moll



რე სეპტაკორდი D<sub>7</sub>



**მითითება.** სამი ძირითადი C, F, G მაჟორული აკორდის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, ამ აკორდების დახმარებით აკომპანემენტი გაუკეთონ მარტივ სიმღერებს: „უუუუნა წვიმა“, „ჭრელო პეპელა“, „ციცინათელა“.

**მითითება.** სახელმძღვანელოში მრავლადაა სხვადასხვა რუბრიკა, რაც ცოდნის განმეორებასა და განმტკიცებაში გვეხმარება. მაგ. – „შემოქმედებითი ტესტი“ – არტთერაპია, რომელშიც ვითარდება მოსწავლეთა სმენა, მესივერება, გემოვნება, აზროვნება, მეტყველება, შემოქმედებითი ნიჭი. მოცემულია ასევე რუბრიკები „იმსჯელე“, „მუსიკალური ლექსიკონი“, „ბლიც ინფორმაცია“, სადაც ეძლევათ დამატებითი ცნობები კომპოზიტორებზე, მათ მუსიკალურ შემოქმედებაზე, უანრებზე, სტილზე. მოსწავლეები მსჯელობენ, კამათობენ. ეს ერთგვარი ხერხია, მიიღონ სწორი, ლოგიური პასუხი და გაიმდიდრონ ცოდნა.

რუბრიკაში „მუსიკალური განტვირთვა“ მოსწავლეები უსმენენ მუსიკას და თავიანთ მთაბეჭდილებას ხატავენ, წერენ ან გადმოგცემენ გრაფიკული ხაზით, რაც აამაღლებს მათ შემოქმედებით უნარჩვევებს. სასურველია, ინტერნეტის მეშვეობით მოსწავლეებმა მოიძიონ და მოისმინონ გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლების, კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები. ეს ყველაფერი უფრო გაამდიდრებს და დახვეწს მათ გემოვნებას.

## თანამედროვე სიმღერები

**მიზანი:** მარტო და სხვებთან ერთად სიმღერის უნარ-ჩვევების გამომუშავება. შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა. მუსიკის მოსმენისას საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა — პლასტიკა, ხატვა. რიტმის გამოხატვის, დამახსოვრების უნარ-ჩვევების განვითარება. შესასწავლი სიმღერების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 13 აკადემიური საათი

მთელ სახელმძღვანელოს აერთიანებს სხვადასხვა კომპოზიტორისა და სხვადასხვა სტილის სიმღერები. სიმღერების არჩევისას გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები, გემოვნება, შესაძლებლობები. მოსწავლეები სწავლობენ უკვე კლასიკად მიჩნეულ, როგორც ქართულ საესტრადო სიმღერებს, აგრეთვე, რამდენიმე ძალიან პოპულარულ უცხოურ სიმღერასაც. სახელმძღვანელოში მოცემულია ინგლისურენოვანი სიმღერები — „ბითლზის“, „ჩიკაგოს“, ლუი არმსტრონგის რეპერტუარიდან და მიუზიკლ „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავიდან“. სახელმძღვანელოში სულ 13 სიმღერაა მოცემული. აგრეთვე დამატებულია „სიმღერები კლასის კონცერტისათვის“: მუსიკალურ დისკზე ჩაწერილია ამ სიმღერების „მინუს“ და „პლიუს“ ფონოგრამები. მოსწავლეები სიმღერების ტექსტის შესწავლის შემდეგ, მუსიკალური ჩანაწერის დახმარებით, ადვილად აითვისებენ ამ სიმღერებს. მასწავლებელი მათ ესაუბრება სიმღერის მუსიკისა და ტექსტის ავტორებზე, შემსრულებლებზე, მოსწავლის წიგნში ეს თემატიკა თვალსაჩინოდ და ვრცლად არის მოწოდებული. ბავშვებს მასწავლებლის გარეშეც შეუძლიათ, დამოუკიდებლად შეისწავლონ სიმღერა. სიმღერის გაკვეთილებში მოცემულია ზოგიერთი სიმღერის ერთხმიანი სანოტო ჩანაწერიც. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ნოტების დასახელებით გაიმღერონ და გაიაზრონ სიმღერის მელოდია. ეს აქტივობა ეხმარება მათ ნოტების გახსენებასა და სოლფეჯიოს ელემენტების გამეორებაში.

წლის ბოლოს, თითოეულ მათგანს საკმაოდ ბევრი სიმღერა ეცოდინება და შეუძლია ეს ცოდნა გამოიყენოს როგორც ინდივიდუალური შესრულებისას, ასევე, კლასისა და სკოლის კონცერტებზე. სახელმძღვანელოში მოცემულ მრავალფეროვან თემატიკასთან ერთად ამ სიმღერების შესრულება უფრო მეტად გაამდიდრებს მოსწავლეთა ცოდნას და დახვეწს მათ გემოვნებას.

თანამედროვე სიმღერების გარდა, მოსწავლეები სწავლობენ საგალობელს — „შენ ხარ ვენახი“ და ქართულ ხალხურ სიმღერას „მუმლი მუხასა“. მასწავლებელი გაკვეთილზე ასმენინებს მათ ჩანაწერს და ამის შემდეგ მთელი კლასი სწავლობს ჯერ I, შემდეგ II და, ბოლოს, III ხმას. სამივე ხმის შესწავლის მერე, მასწავლებელი გადაანაწილებს ხმებს დიაპაზონის მიხედვით, შესაძლებელია, ეს სიმღერები მთელმა კლასმა ერთად შეასრულოს ან მოაწყონ კონცერტი-შეჯიბრი სამ-სამი მოსწავლის მონაწილეობით, შეასრულონ ექსკურსიაზე, ბუნებაში, ეკლესიაში. მასწავლებლის წიგნის ბოლოს დართულია ყველა სიმღერის ნოტი.

## ბახი. „მათეს პასიონი“

ი.ს. ბახის „მათეს პასიონი“ ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა მუსიკალურ ხელოვნებაში. აღორძინების მხატვრების — ჯოფოს ქრისტეს ცხოვრები-სადმი მიძღვნილი ფრესკების ციკლის, ლეონარდოს „საიდუმლო სერობის“ და დიურერის გრავიურების მსგავსად, ბახის „მათეს ვნებანის“ ალ-სავსეა სახარებისეული, ჰუმანური შინაარსით. ჩვენს წინაშეა ადამიანი, თავისი ძალითა და უძლურებით, ამაღლებითა და სიმდაბლით. სულიერი სიწმინდე, თავდადება, ღალატი და გამცემლობა, შიში, სინანული, ტკივილი, სიყვარული და თანაგრძნობა ადამიანისადმი — ყოველივე ეს ასახულია ბახის პასიონის გენიალურ არიებში, რეჩიტატივებსა და გუნდებში. აქ, ისევე, როგორც მის სხვა არაერთ ნაწარმოებში, ვლინდება ბახის მუსიკის საოცარი თვისება — ღრმად ადამიანური გრძნობები სამყაროს უსასრულო იდუმალებასთან არის შერწყმული.



ი.ს. ბახი. 1685-1750



**ორატორია** (ლათ. oratorio მჭერმეტყველური, ორატორული მეტყველება) — XVII-XVIII სს. ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებია სოლისტი მომღერლების, გუნდისა და ორკესტრისთვის. მასში არის არიები, რეჩიტატივები, საანსამბლო, საგუნდო და საორკესტრო ეპიზოდები. ორატორიები იწერება დრამატულ სიუჟეტებზე და სრულდება საკონცერტო დარბაზებში. კანტატასთან შედარებით უფრო განვითარებული სიუჟეტი აქვს და უფრო მასშტაბურია. ბევრი რამ შეითვისა ოპერისგან. ორატორიასთან ახლოსაა მესა, რეკვიემი, პასიონი.

## ტომას ჯოვანი ალბინონი



ალბინონი 1671-1751

ალბინონი ვივალდის თანამედროვე კომპოზიტორია, რომელიც თავის ნაწარმოებებს ასე აწერდა ხელს: „dilettante venet“ — „ვენეციელი დილეტანტი“.

ალბინონი წარჩინებული იტალიური ოჯახიდან იყო და არასოდეს არსად უმსახურია. მისი პირველი წარმატებული საკომპოზიტორო ცდა იყო ოპერა „ზენობია“ და 12 ტრიო-სონატების კრებული. მთელს იტალიაში ცნობილი გახდა ოპერით — „როდერიკი ალუირში“. მოგვიანებით შექმნილი ოპერები კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც დაიდგა.

ალბინონის ეკუთვნის უამრავი კონცერტი, სონატები, ბალეტები, სიმფონიები, ტრიო-სონატები, 50-ზე მეტი ოპერა, მესები, სოლო კანტატები.

განსაკუთრებით პოპულარულია ალბინონის ინსტრუმენტული ნაწარმოებები, რომელთა უმრავლესობა სიმებიანი საკრავებისთვის დაიწერა.

კომპოზიტორის სიცოცხლეშივე გამოიცა მისი ინსტრუმენტული მუსიკის 10 კრებული. ბახმა თავისი 4 საკლავირო ფუგისთვის გამოიყენა თემები ალბინონის რამდენიმე სონატიდან.

პიესა სიმებიანებისა და ორგანისთვის, რომელიც ფართოდაა ცნობილი, როგორც „ალბინიონის ადაჯიო“ (Adagio), XX საუკუნის 40-იან წლებში, ალბინონის 6-ტაქტიანი მუსიკალური ფრაგმენტის ხელნაწერის საფუძველზე, დაწერა იტალიელმა მუსიკისმცოდნემ **რემო ჯაზოტომ**.



რ. ჯაზოტო 1910-1998

# ვენის კლასიკური

**მიზანი:** მარტო და სხვებთან ერთად სიმღერის, შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის, ახალი ტერმინების სწორად გააზრება-გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება. კლასიციზმის მუსიკალური კულტურისა და საკრავების გაცნობა, მუსიკის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემა (ხატვა, პლასტიკა, ლიტერატურული ჩანახატი), მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების სხვადასხვა ფორმის გაცნობა და მათი პრაქტიკული გამოყენება (სოლო, ანსამბლი, გუნდი), მუსიკის გამომსახველი საშუალებების შესწავლა (რიტმი, მელოდია, დინამიკა, ტემპი, ტემბრი).

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 1 აკადემიური საათი



ი. ჰაიდნი

ამ გაკვეთილზე ვეცნობით კლასიციზმის ეპოქას — ვენის კლასიკოსებს: ი. ჰაიდნს, ვ.ა. მოცარტსა და ლ.ვ. ბეთჰოვენს. მასწავლებელს, ამ თემაზე მუშაობისას შეუძლია დაიხმაროს IV კლასის სახელმძღვანელოც. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოამზადონ პრეზიდუაციები თითოეული კომპოზიტორის შემოქმედებაზე. სასურველია, მასწავლებელი თავადაც ესაუბროს მოსწავლეებს ამ თემაზე, ერთად მოისმინონ ნაწარმოებები და მოსწავლეებმა თავიანთი შთაბეჭდილებები დაწერონ ან ნახატით გადმოსცენ. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს საკრავებზე, ისაუბროს ორკესტრის კლასიკურ შემადგენლობაზე. მოსწავლეებს დაავალოს ჩამოთვალონ ამ ორკესტრის საკრავები. სასურველია, მასწავლებელი ესაუბროს მოსწავლეებს ამ ეპოქის ჟანრებზე: სონატაზე, სიმფონიაზე, კვარტეტზე, სონატური ალეგროს ფორმაზე. იმაზე, თუ რომელ კომპოზიტორს რა წვლილი მიუძღვის სხვადასხვა ჟანრის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში; შეადაროს ერთმანეთს კლასიკური და თანამედროვე ორკესტრის შემადგენლობა.




პატარა მოცარტი კლავიკორდთან

ვენის კლასიკოსების სიმფონიების მოსმენისას, კარგი იქნება მოსწავლეებმა გაიმღერონ ის პატარა სანოტო ჩანაწერები, რომლებიც მოცემულია მოსწავლის წიგნში. ეს აქტივობა დაეხმარება მათ, უფრო ადვილად დაიმახსოვრონ და გაარჩიონ ერთმანეთისგან ამ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ნაწყვეტები, რომლებიც მრავლადაა მიმოფანგული მთელს სახელმძღვანელოში ეხმარება ბავშვებს ნოტების გახსენებაში და ფურცლიდან კითხვაში.



ვ. ა. მოცარტი



ლ. ვ. ბეთჰოვენი

## კლასიციზმი

**კლასიციზმი** ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების მხატვრული მიმართულებაა, რომელიც არსებობდა XVII საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. კლასიციზმის პერიოდში ანტიკური ხელოვნება მიიჩნეოდა კლასიკად — მისაბაძ, სანიმუშო და სრულყოფილ ხელოვნებად. კლასიციზმის პერიოდის ხელოვანები ეყრდნობოდნენ ანტიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს და, მათ მსგავსად, ცდილობდნენ შეექმნათ სრულყოფილი ფორმისა და ამაღლებული, კეთილშობილი შინაარსის მქონე ნაწარმოებები, რომლებშიც ემოციური საწყისი განონასწორებული იქნებოდა რაციონალურ, გონიერ საწყისთან და გათავისუფლდებოდა ზედმეტი და გადაჭარბებული მგრძნობიარობისგან.

ბაროკოს ეპოქაში, მუსიკაში გაბატონებული იყო პოლიფონიური წყობის მუსიკა, რომლის მწვერვალად ბახისა და ჰენდელის შემოქმედება ითვლება. კლასიციზმის ხანაში კი ეს სტილი თანდათან ჰომოფონიური ჰარმონიით შეიცვალა. ამ დროს განვითარდა საოპერო უანრები, შეიქმნა ინსტრუმენტული მუსიკის სხვადასხვა ფორმა, ჩამოყალიბდა კამერული და სიმფონიური ორკესტრები. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქ. მანჟეიმის მუსიკოსებმა. მათ ნიადაგი მოუმზადეს ვენის კლასიკურ სკოლას, რომელიც კლასიციზმის პერიოდის მუსიკალური ხელოვნების მწვერვალია. ვენის კლასიკოსები იყვნენ: ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს მუსიკის ისტორიაში. მათ ვენის კლასიკოსები იმის გამო ეწოდათ, რომ მათი მოღვაწეობდნენ ქ.ვენაში, რომელიც XVIII საუკუნეში, ევროპის ნამყვანი კულტურული ცენტრი იყო. ვენის კლასიკოსების შემოქმედებას აერთიანებს ჰუმანიზმი, ოპტიმიზმი და დემოკრატიულობა. მათ საბოლოოდ ჩამოაყალიბეს სიმფონიის, სონატის, კონცერტის კლასიკური უანრები, ბევრი რამ შეცვალეს საოპერო უანრში და სიმფონიური ორკესტრის ახალი ტიპი შექმნეს.

„ჰაიდნი ძალზე მნიშვნელოვანი და ძლიერი რგოლია ევროპული სიმფონიური მუსიკისა. ის რომ არა, არ იქნებოდა არც მოცარტი და არც ბეთჰოვენი“ — ჰ. ჩაიკოვსკი. სიმფონიამ სწორედ ჰაიდნთან მიიღო დასრულებული კლასიკური სახე. ამის გამო მას „სიმფონიის მამასაც“ უწოდებენ. ჰაიდნმა ამ უანრის 100-ზე მეტი ნაწარმოები დაწერა და უამრავი ცდის შემდეგ საბოლოოდ დაამკვიდრა 4-ნაწილიანი კლასიკური სიმფონიის ტიპი. მისი სიმფონიები თავიდან შედარებით მცირე ზომის იყო და პატარა ორკესტრისთვის იქმნებოდა, შემდეგ კი მათი მასშტაბი თანდათანობით გაიზარდა. მათში კომპოზიტორი ასახავდა ხალხური ყოფის სურათებს და ავსტრიულთან ერთად ხშირად ჩეხურ, მორავიულ, უნგრულ, სერბულ ფოლკლორს ეყრდნობოდა. სიმფონიის I ნაწილები აქტიური, ქმედითი და ენერგიულია, II — ლირიკული, III — საცეკვაო ხასიათის მენუეტი, IV - მჩეულარე, მხიარული ფინალი — ასეთია ზოგადად ჰაიდნის მიერ დამკვიდრებული კლასიკური სიმფონიის სახე, რომელიც განავითარებს და ახალ საფეხურზე აიყვანეს მოცარტმა და ბეთჰოვენმა. სიმფონიური ორკესტრის კლასიკური შემადგენლობაც ჰაიდნმა დაამკვიდრა. სიმებიან-ხემიანთა ჯგუფი; ჩასაბერებიდან - 2 ფლეიტა, 2 ჰობო, 2 ფაგოტი, 2 ვალტორნა, 2-4 საყვირი; დასარტყამებიდან - ლიტავრები. ამიერიდან სიმფონიებს ასეთი შემადგენლობის სიმფონიური ორკესტრი ასრულებდა. მოგვიანებით, ასეთი ორკესტრის საფუძველზე უფრო მრავალფეროვანი და სრულყოფილი ორკესტრის სახეები შეიქმნა.

ჰაიდნის მუსიკა ხალისიანი, ნათელი, ოპტიმიზმით სავსე, უშუალო და გულწრფელია. მისთვის უცხოა ზედმეტი მგრძნობიარობა და სენტიმენტალიზმი, თუმცა, მღელვარე და დრამატული სახეებიც გვხვდება. ზოგჯერ კი „ჰაიდნისეული სიურპრიზები“- ძარღვიანი, მკვეთრი იუმორით სავსეა, რასაც კომპოზიტორი უშრეტი მელოდიურ-რიტმული გამომგონებლობითა და ორკესტრის ვირტუოზული ფლობით აღწევს.

იუმორითაა გამსჭვალული ჰაიდნის 94-ე „სიურპრიზების სიმფონია“. სიმფონიის II ნელი ნაწილი მსმენელებს ძალზე მოსაწყენი რომ არ მოსჩვენებოდათ, კომპოზიტორმა, სრული პიანისიმოს დროს, უცრად ლიტავრების მძლავრი ხმები ჩართო, რითაც, ჰაიდნის თანამედროვე მსმენელთა თქმით, „მთვლემარე ბატონები“ გამოაღვიძა.

ჰაიდნის ამ სიმფონიის მოსმენისას მასწავლებელს შეუძლია, შემდეგი კითხვები დაუსვას მოსწავლეებს.

- გაიხსენეთ, სიმფონიურ ორკესტრში რომელი სიმებიან- ხემიანი საკრავები მონაწილეობენ ?

- ტექსტში დასახელებული ჩასაბერებიდან რომელია ხის ჩასაბერები?

- ვალტორნისა და საყვირის გარდა, ლითონის რომელი ჩასაბერები გახსოვთ?

- რომელი დასარტყამები?



**პარტიტურა** (იტალ. partitura — გაყოფა, განაწილება) მრავალხმიანი კოლექტიური შესრულებისთვის გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული შემსრულებლის — მომღერლისა თუ საკრავის ნოტები — პარტია. ეს პარტიები პარტიტურაში გარკვეული წესით — ვერტიკალურად, ერთმანეთზეა განლაგებული, ზევიდან ქვევით. საგუნდო პარტიტურაში ჯერ ქალის და შემდეგ მამაკაცის პარტიები, ორკესტრის პარტიტურაში კი თავისი ხაზი აქვს საკრავთა თითოეულ ჯგუფს. ზედა ხაზზე — ხის ჩასაბერები, მომდევნო ქვედა ხაზზე — ლითონის ჩასაბერები, უფრო ქვევით დასარტყამები, ბოლოს — სიმებიან-ხემიანები. თუ ნაწარმოებში გამოყენებულია ორგანი, ფორტეპიანო ან არფა — მათი პარტია სიმებიანთა ზევით თავსდება, ასევე, სიმებიანთა ზევით თავსდება ვოკალური პარტიები.


**მითითება.** ამ გაკვეთილის სცენარის ანალოგიურად შეგვიძლია ჩავატაროთ მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული გაკვეთილები თემებზე — რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, ჯაზი. მასწავლებელს შეუძლია, უფრო ვრცლად ისაუბროს ამ ეპოქებზე და დაავალოს ბავშვებს, მოაწყონ პრეზენტაციები კომპოზიტორების შემოქმედებაზე.

## პასუხები რუბრიკისათვის, გამოიცანი რა სიმღერაა

გვ. 18 — „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ — ქართლური

გვ. 18 — „შავლეგო“ — მესხური

გვ. 18 — „ჩემო კარგო ქვეყანა“ — რ. ლალიძე



ფ. შუბერტი

## მუსიკალური ორმანტიზმი

საფრანგეთში დიდი რევოლუციის დამარცხებისა და ნაპოლეონის იმპერიის დანგრევის შემდეგ, ევროპის ქვეყნებში გაბატონდა სულის-შემხუთველი ატმოსფერო, რაც შავბნელი რეაქციის მძვინვარებით იყო გამოწვეული. პროგრესული აზრების დაუნდობელმა დევნამ, ყოველგვარი თავყრილობის აკრძალვამ, პოლიციურმა რეჟიმმა საგრძნობი გარდატეხა მოახდინა ადამიანთა შეგნებაში. ახალგაზრდა თაობის საკმაოდ დიდ ნაწილს დაეკარგა რწმენა გონების შესაძლებლობებში. გონების ადგილი დაიკავა გრძნობამ, აქედან გაჩნდა მეტი ინტერესი ადამიანის შინაგანი ცხოვრებისადმი.

ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პირვენების ფსიქოლოგიურ სამყაროს, მრავალფეროვანი გრძნობებით, უნატიფესი განცდებით. ამან მოუმზადა ნიადაგი რომანტიზმს. ამ ტერმინის საფუძველია *stilo romano*, ანუ „რომანული სტილი“, რომელიც გულისხმობს ამაღლებული სიყვარულის გრძნობას, ქალის კულტს, ლირიკას, რაინდულ თავმოყვარეობას, უანრულ სცენებს, იუმორს...

„რომანტიზმის“ პირველი ნარმომადგენელი იყო გერმანელი პოეტი ნოვალისი.

მუსიკალური რომანტიზმის ხანაში უდიდესი და გარდაუვალი ლირებულებების ნაწარმოებები შეიქმნა, მათ დიდი გავლენა იქონიეს მუსიკალური ხელოვნების განვითარებაზე.

მუსიკალური რომანტიზმი ჩამოყალიბდა XIX ს-ის 20-იან წლებში, ავსტრიაში (შუბერტი), შემდეგ გერმანიაში (ვებერი, შუმანი, ვაგნერი) და იტალიაში (პაგანინი, ბელინი, ადრეული ვერდი), მოგვიანებით კი საფრანგეთში (ბერლიოზი, ობერი), პოლონეთში (შოპენი) და უნგრეთში (ლისტი) გავრცელდა. თითოეულ ქვეყანაში თავისი ეროვნული ელფერი და იერი შეიძინა.

თუ კლასიციზმის წარმომადგენლებისთვის იდეალი იყო სრულყოფილი, გამოკვეთილი, მყარი და დასრულებული ფორმები და მუსიკალურ-მხატვრული სახეები, რომანტიკოსებისთვის მუსიკა შინაგანი განცდების, უსასრულო დინამიკის გადმოცემის საშუალებად იქცა.

რომანტიკოსებისთვის რაციონალურ, გონებრივ საწყისზე უფრო მნიშვნელოვანია ირაციონალური, ემოციური საწყისი, ადამიანის სულიერი, შინაგანი სამყაროს მრავალფეროვნება და განწყობილების ცვალებადობა. აქედან გამომდინარე, მათთან წამყვანია ლირიკული საწყისი, აზრისა და გრძნობის გამოთქმის თავისუფლება, უშუალობა. რომანტიკოსები დიდ ინტერესს იჩენენ წარსულისადმი, ეგზოტიკური ქვეყნებისადმი, ეროვნული ტრადიციებისადმი და ფოლკლორისადმი, მათ ნაწარმოებებში აისახა ბუნების, ხალხური ზღაპრების, თქმულებებისა და ლეგენდების სამყარო.

ხალხურ სიმღერას რომანტიკოსები თავიანთი პროფესიონალური შემოქმედების საფუძვლად მიიჩნევდნენ.

ფოლკლორი ეროვნული კოლორიტის ჭეშმარიტი მატარებელია და ფოლკლორის გარეშე მათ ხელოვნება ვერ წარმოედგინათ. ვენის კლასიკოსებისგან განსხვავებით, რომანტიკო-



კ. ვებერი



ნ. პაგანინი



ფ. მენდელსონი



რ. შუმანი

სთა მუსიკა ადამიანის გრძნობებსა და განცდებს უფრო სუბიექტურად და მძაფრად გამოსახავს.

ხშირია მათთან ინდივიდუალური მუსიკალური პორტრეტები – ფსიქოლოგიური და ჟანრულ-საყოფაცხოვრებოც. უფრო ფართოდაა წარმოდგენილი ირონია, იუმორი, გროტესკიც კი. ამავე დროს, გაძლიერებულია ეროვნულ-პატრიოტული და გმირულ-განმათავისუფლებელი თემატიკა (მაგ; შოპენი, ლისტი, ბერლიოზი). დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ სახვითობას, ბერნერას. განახლებულია გამომსახველი საშუალებები. მელოდია უფრო პირადული, რელიეფური, შინაგანად ცვალებადია და რეაგირებს სულიერი განცდების მცირეოდენ ცვლილებებზეც კი. პარმონია და ინსტრუმენტობა უფრო მდიდარი, მკვეთრი და ფერადოვანია. კლასიკოსების განონასწორებული და ლოგიკურად მწყობრი სტრუქტურის მაგივრად, ხშირად სრულიად განსხვავებული ხასიათის ეპიზოდები თავისუფლად ერწყმის ერთმანეთს.

უდიდესი რომანტიკოსი, მწერალი და კომპოზიტორი პოფმანი ამტკიცებდა: „**სადაც მთავრდება სიტყვა, ინყება მუსიკა.**“ ხელოვნების ეს ორი დარგი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. რომანტიკოსები სიმღერას განიხილავენ, როგორც კომპოზიტორის „ინტიმურ დღიურს“, რომელსაც ავტორი გაანდობს ხოლმე თავის ფარულ აზრებს, ემოციურ განცდებს.

მუსიკალურ მიმდინარეობებს შორის ყველაზე მჭიდრო კავშირი პოეზიასთან სწორედ რომანტიზმა დაამყარა და შეიქმნა პოეზისა და მუსიკის სინთეზის შესანიშნავი ნიმუშები.

ბევრი რომანტიკოსის ყურადღების ცენტრშია ყველაზე უფრო სინთეზური ჟანრი – **ოპერა**. ისინი ხშირად ზღაპრულ-ფანტასტიკურ, სათავგადასავლო, ჯადოსნურ და ეგზოტიკურ თემებზე იქმნება. პირველი რომანტიკული ოპერა იყო პოფმანის „უნდინე“.




რ. ვაგნერი


მუსიკალური სახის შესაქმნელად საჭირო გახდა სიტყვიერი პროგრამა, რომელიც ნაწარმოების შინაარსს გვიხსნის. პროგრამა შეიძლება იყოს ნაწარმოების სათაური, ადამიანის სულიერ მდგომარეობას რომ ასახავს. ხშირად მუსიკა იწერებოდა, როგორც ილუსტრაცია ლიტერატურული ან ფერნერული ნაწარმოებისთვის. ზოგჯერ კომპოზიტორი თვითონ ქმნიდა სიუჟეტს ინსტრუმენტული მუსიკისთვის (მაგ; ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია“) და მას პარტიტურას წაუმდღვარებდა ხოლმე წინ.

ასეთი იყო ლიტერატურის, ფერწერისა და მუსიკის სინთეზი რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

ინსტრუმენტულ მუსიკაში წამყვანია სიმფონიის, ინსტრუმენტული ანსამბლების, სოლო საფორტეპიანო სონატის ჟანრები. ხშირია ინსტრუმენტულ მუსიკაში ფერნერული მოტივები. შეიქმნა – სიმფონიური პოემა, რომელშიც სონატური ალეგროსა და სონატურ-სიმფონიური ციკლის ნიმუშებია შერწყმული. ინსტრუმენტული მუსიკა გამდიდრებულია ლიტერატურასთან კავშირით. ახალი ჟანრია ინსტრუმენტული ბალადაც. რომანტიკოსები ცხოვრებას აღიქვამენ როგორც ცალკეული, განსხვავებული მდგომარეობის, სუ-



ფ. შოპენი



ფ. ლისტი

რათებისა თუ სცენების მონაცვლეობას. ამან განაპირობა ახალი სხვადასხვა მინიატურისა თუ **მინიატურების** ციკლების გაჩენა (შუბერტი, შუმანი, შოპენი, ლისტი, ბრამსი).

მუსიკალური შემსრულებლობის თვალსაზრისით, რომანტიზმის ხელოვნება უფრო ემოციურია, ფერებით მდიდარია, ნათელი კონტურებით და ვირტუოზულობით (პაგანინი, შოპენი, ლისტი) გამოირჩევა.



ტერმინი „Romantisme“ - ფრანგულია. ასე ჰქვია იდეურ და მხატვრულ მიმართულებას ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ფრანგული Romantisme მომდინარეობს ესპანური Romance-დან. ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში ესპანურ რომანებს, შემდეგ კი რაინდულ რომანებს. ინგლ. Romantic – რომანტიული, ფრანგულად გადმოიცემა როგორც Romanesque, შემდეგ კი Romantique და XVIII ს-ში ნიშნავდა „უცნაურს“, „ფანტასტიკურს“, „გამომგონებლურს“. XIX ს-ის დასაწყისში სიტყვა რომანტიზმი იქცა ტერმინად, რომლითაც აღნიშნავდნენ კლასიციზმის საპირისპირო, ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას.

## შექსპირი და მუსიკა — პროექტი

კლასს დაევალოს პროექტის დაწერა, რომელშიც ასახული იქნება:

1. შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება;
  2. შექსპირის დამოკიდებულება მუსიკისადმი;
  3. მუსიკა შექსპირის ნაწარმოებებში;
  4. სხვადასხვა დროს, შექსპირის მიხედვით კომპოზიტორთა მიერ შექმნილი განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებები; (ბალეტი, ოპერა, უვერტიურა, სიმფონია, სიმღერები და ა.შ.);
  5. შექსპირი თანამედროვე თეატრსა და კინოში, მიუზიკლები;
  6. მსჯელობა თემაზე – რამდენად აქტუალურია შექსპირი დღეს და ა.შ.
- აქტივობები, რომლებსაც გამოავლენენ მოსწავლეები:
1. გუნდური, ჯგუფური მუშაობის პრინციპები;
  2. მუსიკის ისტორიის, მხატვრული ლიტერატურის, თეატრისა და კინოს ისტორიის ცოდნა;
  3. გაეცნონ თანატოლების გამოცდილებას და გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა საგანში;
  4. მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი და შეძლონ მისი დაცვა;
  5. მოიძიონ მასალა და შექმნან უურნალი, გაზეთი, ფოტოგამოფენა, თეატრალური ინსცენირება და ა.შ.



ს. პროკოფიევი 1981-1953

## ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“

ს. პროკოფიევი XX ს.-ის მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. რომელიც აგრძელებს მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ბოროდინის ტრადიციებს და ასევე, დაკავშირებულია ევროპულ მუსიკალურ კულტურასთან.

ს. პროკოფიევი არცერთ მოდერნისტულ მიმართულებას, დაჯგუფებასა თუ სკოლას არ მიეკუთვნება. აღსანიშნავია მისი სიტყვები: „მე ყოველთვის ვგრძნობდი საკუთარი იდეების კვალზე სიარულის მოთხოვნილებას, არასდროს მიფიქრია, რაიმეს გაკეთება მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა წესი, არ მრცხვენია განვაცხადო, რომ მე ჩემივე იდეებისა მოწაფე ვარ, ყველაფერში, რასაც ვწერ, ვემყარები ორ მთავარ პრინციპს – მკაფიოებასა და ლაკონიზმს, ჩემი იდეების გამოხატვაში გავურბივარ მრავალსიტყვაობასა და ზედმეტობას“.

— ეს სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ კომპოზიტორის შემოქმედების კრედოდ.

პროკოფიევის ცნობილი ნაწარმოებებია: „კლასიკური სიმფონია“ №1, სიმფონია №7, ოპერები — „ომი და მშვიდობა“, „სიმონ კოტკო“, „მოთამაშე“, „სამი ფორთოხალის სიყვარული“, „ცეცხლოვანი ანგელოზი“, „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“ ... იგი 7 ბალეტის ავტორია. პროკოფიევი ამ ჟანრის გაპედული რეფორმატორია, რომელმაც შეცვალა ტრადიციული საბალეტო ნომრები და ეძებდა გამოსახვის ახალ საშუალებებსა და ფორმებს. პროკოფიევის ყველაზე დიდი მონაპოვარი ისაა, რომ მის ბალეტებში ცეკვა არ წარმოქმნის მხატვრულ სახეს, არამედ სახე წარმოშობს ახალ-ახალ საცეკვაო ფორმებს.

კინორეჟისორმა სერგეი ეიზენშტეინმა ასე განმარტა პროკოფიევის დიდი მისწრაფება საბალეტო ხელოვნებისადმი: „პროკოფიევს საოცარი უნარი აქვს ბერებში აღიქვას პლასტიკური გამოსახულება“. ამ რეჟისორთან თანამშრომლობის შედეგად, პროკოფიევმა დაწერა შესანიშნავი მუსიკა კინოფილმებისთვის „ალექსანდრე ნეველი“ და „ივანე მრისხანე“.

ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ მუსიკალური შექსპირიანას მნიშვნელოვანი შენაძენია. შექსპირის ამ ტრაგედიაზე არაერთი ნაწარმოები იყო შექმნილი პროკოფიევამდე, რომელთა გათვალისწინებაც, ბალეტზე მუშაობის დროს, ბუნებრივია, მოუხდა კომპოზიტორს. გავიხსენოთ, ბერლიოზის სიმფონია, ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზია, გუნის ოპერა. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე ბალეტებიც იყო დაწერილი. მაგრამ მხოლოდ პროკოფიევმა შეძლო შექსპირის ტრაგედიის სიმაღლემდე ასვლა. ბალეტი შეიქმნა 1936 წელს. მისი ლიბრეტო დაამუშავეს პროკოფიევმა, რეჟისორმა ს. რატლოვმა და ბალეტმაისტერმა ლ. ლავროვსკიმ. ბალეტი დაიდგა ლენინგრადის კიროვის სახ. საოპერო თეატრის სცენაზე 1940 წელს. ბალეტს საკმაო დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ჯეროვანი შეფასება მიეღო საზოგადოებისგან, რომელმაც თავდაპირველად, ამ ბალეტის მუსიკა მონათლა, როგორც „არასაცეკვაო“, შემდგომ პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ საბალეტო მუსიკის ოქროს ფონდში შევიდა.

ბალეტი შედგება 3 მოქმედებისაგან და 52 ნომრისგან. ბალეტის მუსიკას ასრულებს დიდი სიმფონიური ორკესტრი, სადაც მანდოლინებიც არის ჩართული. პარტიტურაში გაზრდილია სპილენძისა და დასარტყამ საკრავთა რიცხვი. ბალეტის დრამატურგიაში მოქმედებს შექსპირისეული კონტრასტის პრინციპი, რომელიც გამოხტულია, როგორც მოქმედ სახეებში, ასევე სცენებში. აქაც, ისევე როგორც შექსპირთან, ერთმანეთს უპირისპირდება ტრაგიკული და კომიკური, ამაღლებული და გროტესკული.



უ. შექსპირი

## გაიაზრე

**შექსპირის შემოქმედებით** კომპოზიტორები ჯერ კიდევ ბაროკოს ხანაში იყვნენ გატაცებულნი. ასეთი იყო მაგ.: პერსელი („ფერიების დედოფალი“ — კომედია „ზაფხულის ღამის სიზმრის“ მიხედვით). განსაკუთრებით რომანტიკოსებისთვის აღმოჩნდა შექსპირი მომხიბლავი. XIX-XX საუკუნეებში შექსპირის კომედიებისა თუ ტრაგედიების მიხედვით სრულიად სხვადასხვა უანრის მუსიკალური ნაწარმოებები შეიქმნა. მათ შორის ოპერები: როსინის „ოტელო“, ბელინის „მონტეკო და კაპულეტი“ („რომეოსა და ჯულიეტას“ მიხედვით), ვაგნერის „აკრძალული სიყვარული“ („ნილი წილის წილ“ მიხედვით), ბერლიოზის „ბეატრიჩე და ბენედიქტი“ (კომედია „აურზაური არაფრის გამო“), გუნოს „რომეო და ჯულიეტა“, ვერდის „მაკბეტი“, „ოტელო“ და „ფალსტაფი“, ბრიტენის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ბარბერის „ანტონიუსი და კლეოპატრა“; ბალეტები: პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, მაჭავარიანის „ოტელო“; ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოებები: ბერლიოზის „რომეო და ჯულიეტა“. მუსიკა სპექტაკლებისთვის, მათ შორის, მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და მუსიკა უამრავი ფილმისთვის. მაგ.: შოსტაკოვიჩის მუსიკა ფილმებისათვის „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“; პროგრამულ-სიმფონიური პოემები, უვერტურები; რომელთა შორის ალსანიშნავია ბეთჰოვენის უვერტურა „კორიოლანი“, ბერლიოზის „მეფე ლირი“, ლისტის „ჰამლეტი“, ჩაიკოვსკის „ქარიშხალი“, „ჰამლეტი“, „რომეო და ჯულიეტა“, რ. შტრაუსის „მაკბეტი“ და სხვა.

ვოკალური მინიატურები, შექსპირის ლექსებზე შექმნილი აქვთ შუბერტს, სტრავინსკის, შოსტაკოვიჩს.

XXI-ის ამერიკელი კომპოზიტორისა და მუსიკოსის — ლეონარდ ბერნსტაინის (1918-1990) „ვესტსაიდის ისტორია“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიუზიკლია, რომელსაც საფუძვლად შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ უდევს. კომპოზიტორმა მოქმედება თანამედროვე ამერიკაში გადაიტანა, დარიბებით დასახლებულ, ნიუ-იორკის დასავლეთ გარეუბანში — ვესტ-საიდში. ახალგაზრდების ორი ჯგუფი — ნიუ-იორკის მკვიდრნი და პუერტორიკოელი ემიგრანტები — ერთმანეთს მტრობენ, ამ მტრობას მშვენიერი მარიასა და კეთილშობილი ტონის სიცოცხლე ეწირება.

მიუზიკლის დადგმიდან რამდენიმე წლის შემდეგ, გადაიღეს ამავე სახელწოდების ფილმი.

**მითითება.** მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილზე მოსწავლეებს მოასმენინოს ნაწყვეტები ს. პროკოფიევის ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“, ლ. ბერსტაინის მიუზიკლიდან „ვესტსაიდის ისტორია“ და სთხოვოს მათ ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს შეადარონ.

# კლოდ დებიუსის „ფავნის დასვენება ნაშუაღლევს“



კ. დებიუსი 1862-1918

მითოლოგიური სიუჟეტი, ადრეც და დღესაც არაერთი ხელოვანისთვის გამზდარა შთაგონების წყარო. 1894 წელს, ცნობილმა ფრანგმა კომპოზიტორმა — დებიუსიმ წაიკითხა პოეტ-სიმბოლისტის — მალარმეს ეკლოგა და მითიური არსებები თხის-ფეხება ფავნი, პაეროვანი ნიმფები და ქალთევზები — თავისი სიმფონიური ნაწარმოების მთავარ პერსონაჟებად გადააქცია. „ფავნი“ იმპრესიონისტული მუსიკის შედევრად ითვლება. აღფრთოვანებულმა მალარმემ თქვა: ჩემი პოემის ემოციებს ეს მუსიკა ბევრად უკეთ აგრძელებს და ავსებს, ვიდრე საღებავით თუ ფერით დახატული ნებისმიერი ტილოო.

დებიუსის „ფავნის“ მოსმენა „მხედველობით“

ასოციაციებს იწვევს. ზანტად უღერს ფლეიტა დაბალ რეგისტრში (ფავნის თემა), რომელსაც ხანდახან ვალტორნის ხმები, სიმებიანთა რბილი ხმები და ხის ჩასაბერების „მოსრიალე“ ბგერები ავსებს.



ფავნი



დ. შოსტაკოვიჩი 1906-1975

## დიმიტრი შოსტაკოვიჩი

დ. შოსტაკოვიჩი XX ს-ის რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, უამრავი შესანიშნავი ნაწარმოების ავტორია, რომელთა შორისაა 15 სიმფონია, 15-სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო კვინტეტი, 10 საგუნდო პოემა, ოპერები „კატერინა იზმაილოვა“, „ცხვირი“, ბალეტები: „ოქროს ხანა“, „ბოლტი“ და სხვა.

შოსტაკოვიჩის შემოქმედება XX ს-ის ცხოვრების თავისებური მატიანეა, მის ნაწარმოებებში მძლავრად გაისმის თანამედროვეობის სუნთქვა და მაჯისცემა, მათი ავტორის — მებრძოლი მოქალაქის — რთული და მრავალფეროვანი განცდები და ფიქრები. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ შოსტაკოვიჩისთვის ყველაზე მახლობელი — სიმფონიის უანრი იყო, მუსიკის ალბათ ყველაზე უფრო ფილოსოფიური უანრი.

შოსტაკოვიჩის სიმფონიებში ასახულია ცხოვრებისეული კონფლიქტები, სოციალური ძვრები, მკაცრი დრამატიზმი და გმირული სულისკვეთებაც. ეს არის მრავალფეროვანი სახეების სამყარო: ერთის მხრივ, ღრმა, ფსიქოლოგიური განცდები და მეორეს მხრივ, ფაქიზი, ახალგაზრდული ლირიკა; ბოროტი ძალების მოზღვავება და უდიდესი მწუხარება; უდარდელი სიცილი და მეორეს მხრივ, გაკიცხვის პირქუში პათოსი. ამ ახალმა შინაარსმა ახალი გამომსახველი საშუალებები მოითხოვა. ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, შეეხო მელოდიას, რომელიც უფრო „კუთხოვანი“ გახდა და მოულონელი მოძრაობებით აივსო. ეს მელოდია მძიმედ და დაძაბულად ვითარდება. ხშირად, შოსტაკოვიჩის სიმფონიები მოწოდებითი ხასიათის თემებით იწყება — თითქოსდა ვინმე ორატორი ნარმოთქვამს მგზნებარე სიტყვას.

ორიგინალურია შოსტაკოვიჩის ორკესტრიც, რომელიც გამოირჩევა ტემპრთა უჩვეულო შერწყმით, სოლო ეპიზოდების სიუხვით, სრულიად მოულოდნელი დაპირისპირებებით ორკესტრის მძლავრ უღერადობასა და მეორეს მხრივ, გამჭვირვალე, კამერულ უღერადობას შორის.

შოსტაკოვიჩის სიმფონიები 4-ნაწილიანია, მაგრამ ამ ნაწილებს შორის კონტრასტი კიდევ უფრო გაზრდილია, თითოეული მათგანი ცხოვრების სრულიად განსხვავებულ მხარეებს ნარმოგვიდგენს.



**ექსპრესიონიზმი** (ლათ. Expressio – „გამოხატვა“, „გამომსახულობა“) ახალი მიმართულება XX ს-ის 20-30-იან წლების მუსიკალურ ხელოვნებაში, რომელსაც ახასიათებს ადამიანის შინაგანი სამყაროს,

მისი განცდებისა და გრძნობების ძალზე მკვეთრად, მძლავრად, მწვავედ გადმოცემა. ექსპრესიონიზმის ნიმუშად მიიჩნევენ ვაგნერის მუსიკალურ დრამას „ტრისტანი და იზოლდა“, მალერის გვიანდელ სიმფონიებს, რ. შტრაუსის ზოგიერთ ნაწარმოებს. ხოლო ამ მიმართულების უმაღლეს მწვერვალად ითვლება ა. ბერგის ოპერა „ვოცეკი“, ა. შონბერგის 20-30-იანი წლების ბევრი ნაწარმოები, ასევე ჰინდემიტის, ბარტოკის ზოგიერთი ნაწარმოები.

ექსპრესიონისტულ მუსიკას ახასიათებს მკვეთრი, მკაცრი ჰარმონიები, დაჭიმული, დაძაბული ხმოვანებები. ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი, გამაოგნებელი კონტრასტები. თავდაპირველად, ექსპრესიონისტები უწოდეს მხატვართა ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ კანდინსკი, ნოლდე, მარკი. მათ შეურთდა შონბერგიც, რომელიც არა მხოლოდ მუსიკოსი, არამედ მხატვარიც იყო.

**ოსტინატო** – Ostinato (იტ. „ჯიუტი“) – მელოდიური, ჰარმონიული ან რიტმული საქცევი, ან 1 ბერა, რომელიც მრავალგზის „დაუინებით“ მეორდება. პოპულარული იყო აღორძინებისა და ბაროკოს ეპოქაში, XVII-XVIII ს.ს.-ების ევროპულ მუსიკაში, XX საუკუნის კომპოზიტორებთან. ხშირად გვხვდება „ბასო ოსტინატო“ – ისტინატო ბანის ხმაში. რიტმული ისტინატოს მაგალითია რაველის „ბოლერო“, შოსტაკოვიჩის VII სიმფონიის I ნაწილიდან „მტრის შემოსევის თემა“ და სხვ. რიტმული ისტინატოები ძალზე დამახასიათებელია აფრიკული მუსიკისთვის.

### ზანგური სპირიჩუელი

Swing low, sweet char - i - ot, com - in' for to car - ry me home!

Swing low, sweet char - i - ot, com - in' for to car - ry me home!

**მითითება.** მასწავლებელს სურვილისამებრ შეუძლია შეასწავლოს ბავშვებს ნაწყვეტი ზანგური სპირიჩუელსიდან.



# ქართული ხალხური მუსიკა

**მიზანი:** რიტმის დამახსოვრებისა და გამოხატვის, მარტო და სხვებთან ერთად სიმღერის, რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოებში მარტივი ორხმიანობის ელემენტების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება, შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა, ხალხური საკრავების ტემბრულად და ვიზუალურად გაცნობა, მოსმენილი მუსიკალური ნიმუშის ყოველდღიურობასთან დაკავშირება, მუსიკის მოსმენისას საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 8 აკადემიური საათი

ჩვენ ვაგრძელებთ დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების შესწავლას. რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სამეგრელოს გაცნობის შემდეგ შევისწავლოთ იმერული, გურული, აჭარული, შავშური და ლაზური მუსიკა. დასავლეთ საქართველოს ხალხური მუსიკა განსხვავდება აღმოსავლურისაგან, თუმცა მათ შორის ბევრია საერთოც.

დასავლეთ საქართველოს სიმღერებში მრავალხმიანობის ერთ-ერთი სახე — კონტრასტული პოლიფონია — გვხვდება. კონტრასტული პოლიფონიისათვის დამახასიათებელია ხმების დამოუკიდებელი განვითარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ხმა მოძრაობს თავისი სვლით, განსხვავებულად, თუმცა, საბოლოოდ, ისინი ერთიან ჰარმონიულ დაბოლოებამდე მიდის. განსაკუთრებით ხშირად კონტრასტული პოლიფონია გურულ სიმღერებში გვხვდება, ასევე, აჭარაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული საწესო სიმღერებიდან საყურადღებოა ის სიმღერები, რომლებიც სრულდებოდა შობა-ახალ წელიწადსა და აღდგომის დღესასწაულებზე — „ალილო“ და „ჭონა“, „ქრისტე აღსდგა“.

„ჭონა“ სააღდგომო სიმღერაა. ამ სიმღერით ულოცავდნენ ოჯახებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. „ჭონა“ უძველესი დროიდან მომდინარე საგაზაფხულო სიმღერაა, რომელსაც ჭონაზე ჩამოვლის დროს ასრულებდნენ. ეს ჩვეულება, მოვაინებით, აღდგომას დაუკავშირდა. სრულდებოდა დიდმარხვის ნინა კვირაში, უფრო ხშირად, - აღდგომის ნინა დღეს. „ჭონა“ ტყავბენვეულის, ტყავის ქუდის მერავს ნიშნავს. ჭონაზე, კარდაკარ მოსიარულე მომღერლები კი ტყავ-ბენვეულის სამოსს იცვამდნენ, ნიღბებს იკეთებდნენ და ეს სახელიც ამის გამო დაერქვა სიმღერას. ნიღბებს, იმერეთში, კვახის ანუ ხაპისგან ამზადებდნენ. მეჭონეები, ხშირად, საჩუქრად კვერცხებს მოითხოვდნენ. კვერცხი სიმბოლური მნიშვნელობისაა. იგი, ერთი მხრივ, ფრინველების გამრავლებაზე მიუთითებს, მეორე მხრივ — სააღდგომო წითელ კვერცხზე. ეზოში შესული მომღერლები ჯერ დაილოცებოდნენ და შემდეგ იწყებდნენ სიმღერას. ყველაზე გავრცელებული ტექსტია:

„ალათასა, ბალათასა,  
ხელი ჩავყავ კალათასა,  
ქალო, კვერცხი გამოგვიტა,  
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.“

მეჭონეების ხელცარიელი გაშვება არ შეიძლებოდა. „ჭონა“ გავრცელებული იყო იმერეთში.

სააღდგომოდ იმღერებოდა, ასევე, სხვადასხვა საერო და საეკლესიო სიმღერა-საგალობელი. საზეიმო ლიტურგიის შემდეგ დღესასწაული ტაძრის ეზოში გრძელდებოდა, სადაც სხვადასხვა სააღდგომო სიმღერა თუ ცეკვა სრულდებოდა, მაგალითად, სადღესასწაულო ფერხული „ქრისტე აღსდგა“, რომელშიც ყველა მონაწილეობდა — ქალიც და კაციც.

შრომის სიმღერის, ყანურის, ნადურის მოსმენისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ სიმღე-

რის განვითარებაზე, მის კავშირზე შრომის პროცესთან. „ნადური“ გავრცელებული იყო მთელ დასავლეთ საქართველოში.

ნადით მუშაობა უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ბიბლიის ქართულ თარგმანში „ნადი“ მოხსენიებულია შემწეს, დამხმარეს მნიშვნელობით. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ნადი განმარტებულია როგორც „მუშაკნი შეყრილი“.

პირველი ცნობა, ნადით მუშაობის და სიმღერის შესახებ, იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის ეკუთვნის (მე-17 ს.). საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი მასალაა მოპოვებული შრომის ამ სიმღერების შესრულების წესის შესახებ, ქართველი მეცნიერების მიერ.

ნადურ სიმღერას ორი გუნდი ასრულებს. იწყება ნელა, თანდათან ჩქარდება, მომღერლები ერთმანეთს ეჯიბრებიან შრომასა და სიმღერაში. სიმღერის აჩქარებასთან ერთად ჩქარდება მუშაობაც, თოხის დარტყმა სიმღერის რიტმს მიჰყვება. თუ ვინმე სიმღერას თოხის დარტყმას არ ააყოლებს, ის ისე არღვევს სიმღერას, როგორც „ცეკვის დროს უადგილოდ და ურიგოდ ტაშის დამკვრელი“. სიმღერის თანხლებით, შრომა უფრო ხალისიანი ხდება და უდრო სწრაფადაც მუშაობენ, ვიდრე უსიმღეროდ.

„იმერული საოხუნჯო“ სიმღერა სრულდება გუნდისა და სოლისტის მიერ. სიმღერა თავიდან დინჯად იწყება. სოლისტის სახუმარო ტექსტი საშუალებას აძლევს მას, არტისტულად შეასრულოს იგი, რასაც მხარს აუბამენ გუნდის წევრებიც. საგუნდო მისამღერი მხიარული, ცოცხალი ხასიათით უნდა შესრულდეს, ტაშის თანხლებით, რომელსაც შეიძლება რაიმე მარტივი საცეკვაო იმპროვიზაციაც მოჰყვეს.

სიმღერის ზედა ორი ხმა ტერციულად მიჰყვება ერთმანეთს. ჯგუფი უნდა გაიყოს I და II ხმებად. ბანი პედაგოგმა უნდა იმღეროს, თუმცა, ჯგუფიდანაც შეიძლება შეირჩეს ბანის შემსრულებლები.

გურული სიმღერების მოსმენისას, ყურადღება უნდა მიექცეს ხმების მოძრაობის თავისებურებებს. ტექსტი შეუა ხმას მიჰყავს, ბანი და ზედა ხმა გლოსოლალიებით იმღერება. მაგ: „ხასანბეგურა“, „ალიფაშა“.

„ალიფაშას“, ისევე როგორც „ხასანბეგურას“, „საფუძვლად უდევს ისტორიული სინამდვილე, მე-19 ს.-ის მეორე ნახევრის რუსეთ-თურქეთის ომის ეპიზოდები. ხასან-ბეგ თავდგირიძეცა და ალიფაშაც ისტორიული პიროვნებები იყვნენ. ისინი მოღალატეების სახელით შემორჩენ ხალხის მეხსიერებაში:

ალიფაშამ გვიღალატა, ჩაგვიყვანა კვირიკეთში,

იმან ფულები აიღო, ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში”...

ან „ხასანბეგი თავდგირიძე გარისხული ღვთისგან მეტი,

თათრის ფაშობა იშოვა, სულ მთლად დაავიწყდა ღმერთი”...

კრიმანჭული, თავისი სპეციფიკური ხმოვანებით, რთული შესასრულებელია, თუმცა, მისი ყველაზე მარტივი ვარიანტის შესრულება შეიძლება სცადოს გაკვეთილზე მასწავლებელმა.

შესასწავლად შერჩეულია საჩინგურო სიმღერა „დიღა“, რომლის მუსიკისა და ტექსტის ავტორად ითვლება ცნობილი გურული მომღერალი — ვარლამ სიმონიშვილი.

აჭარული ხალხური მუსიკის შესწავლის დროს ყურადღება უნდა გავამახვილოთ საცეკვაო მელოდიებზე. „განდაგანა“ და „ხორუმი“ ცნობილი აჭარული ცეკვებია.

„განდაგანა“ ორი სხვადასხვა ცეკვის — „განდაგანასა“ და „მხარულის“ — ილეთების შერწყმით შეიქმნა. ის ქალ-ვაჟის სატრფიალო იუმორით აღსავსე ცეკვაა და სახალხო დღესასწაულების დროს, ქორწილებში სრულდებოდა. „განდაგანა“ ქალისა და ვაჟის გან-გან სვლებით ხასიათდება და სახელწოდებაც აქედან უნდა წარმოშობილიყო. სიმღერა „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, რომელიც ცეკვა „განდაგანას“ ესადაგება, დიდი პოპულარობით სარგებლობს. ასევე, გავრცელებულია ქალ-ვაჟის სახუმარო ხასიათის გაშაირება.

„ხორუმი“ მეომართა ცეკვაა, რომლის ძირები უძველეს დროში უნდა ვეძიოთ. „ხორუმს“ შეიძლება მივამსგავსოთ, არქეოლოგების მიერ ნაპოვნი, ბრინჯაოს ფიგურების ზოგიერთი მოძრაობა. „ხორუმი“ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი შედევრია. ეს ცეკვა სცენაზე ა.ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულში“, ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა. „ხორუმი“ ჭიბონის თანხლებით სრულდება. არსებობს მისი ძალზე საინტერესო საჩინგურო ინტერპრეტაციაც.

შავშური სიმღერა „თირინი ჰარირამა“ — ფერხულის თანხლებით სრულდება. ფერხული წრიულად მოძრაობს. მეფერხულეებს ხელები ერთმანეთის მხრებზე აქვთ დაწყობილი. თავ-დაპირველად საფერხულო წრე ერთ ადგილზე მოძრაობს (ჯერ გადადგამენ მარჯვენა ფეხს და მიუდგამენ მარცხენას, შემდეგ იგივეს იმეორებენ მარცხნივ). თანდათან სიმღერის ტემპი მატულობს და ფერხულიც მოძრაობას იწყებს მარჯვივ. (პირველ სამ თვლაზე ნაბიჯი იდგმება მარჯვივ, მეოთხე თვლაზე ხდება მარცხენა ფეხის წინ გასმა, მეხუთე თვლაზე მარცხენა ფეხის დადგმა, მეექვსე თვლაზე — მარჯვენა ფეხის წინ გასმა, მეშვიდე თვლაზე — მარჯვენა ფეხის დადგმა, მერვე თვლაზე — მარცხენა ფეხის მიდგმა მარჯვენაზე).

ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ მან ჩვენამდე ერთხმიანი სიმღერების სახით მოაღწია, თუმცა, შეიმჩნევა გასამხმიანების ტენდენცია, რითაც ლაზური სიმღერა ტრადიციული ქართული სიმღერის იერს იდენს.

„ლაზ ხორუმი“ ქალთა საფერხულო სიმღერაა. სრულდება სოლისტისა და გუნდის მიერ.

## ქართული ქალაქური მუსიკა

ქალაქური მუსიკა ქართული მუსიკალური ფოლკლორის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ორი მიმართულებით განვითარდა ჩვენში: აღმოსავლური და დასავლური.

ქალაქური მუსიკის დასავლური შტო უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, ვიდრე აღმოსავლური.

### დასავლური შტო

ქართული ქალაქური მუსიკის დასავლური შტოს განვითარება XIX ს.-დან დაიწყო, როდესაც რუსეთის გზით საქართველოში ევროპული კულტურა შემოვიდა. ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი ცნობილი ქალაქური სიმღერები, როგორიცაა „სულიკო“, „ციცინათელა“, „სანთელივით დავდნები“, „მორბის არაგვი“, „ჩიტო გვრიტო“, ქალაქური მრავალუამიერების მთელი სერია და სხვა. ამ ტიპის სიმღერები გავრცელებული იყო იმერეთში, კერძოდ ქუთაისსა და ზესტაფიონში.

